AUGUSTINIANS MISSIONARIES IN GEORGIA

ავგუსტინელი მისიონერები საქართველოში

ELDAR MAMISTVALISHVILI

Doctor of Historical Sciences, Professor of Gori State University,
Chavchavadze st., №53, Gori, 1400, Georgia
+995577251204, eldarmamistvalishvili@rambler.ru
https://orchid.org/0000-0002-5978-7624

Abstract: From the beginning of the 17th century, the rather long war between Persia and the Ottomans (1602-1618) caused major international political changes that led to the activation of the Pope and European states interested in defeating the Ottomans. The Roman Curia immediately showed interest in the Middle East and the Caucasus. Visits of its representatives - missionaries of various Catholic orders to Persia and the Caucasus, including Georgia, begin. The Iranian government, unsure of the strength of its military forces (at least in the first period of the outbreak of the war), tried to gain allies in the Christian states of Europe, which were no less interested in the complete destruction of the Ottoman Empire or its weakening. They attached particular importance to the protection of Christians living in the territory of the Ottoman Empire, which was not an easy task. Shāh Abbās I, who declared himself a protector of Christians from a political point of view, allowed representatives of the Pope - Catholic missionaries - to live in his domains and allowed Christians of different denominations to convert to Catholicism. Based on the above, sending missionaries to the two kingdoms of Eastern Georgia -Kartli and Kakheti, which were vassals of the Shāh, depended on the will of Shāh Abbās, which is clearly seen from the materials verified in this article.

The article talks about the Missionary monks of the Augustinian order - Belchior dos Anjos and Guilhermo de Santo Agostinho, Giovanni Tadeo de San Eliseo, Guilhermo Portuguese and the Portuguese - Ambrosio dos Anjos and his comrade Pedro dos Santos. The article talks about the missionary monks of the Augustinian order - Belchior dos Anjos and Guilhermo de Santo Agostinho, Giovanni Tadeo de San Eliseo, Guilhermo Portuguese and the Portuguese - Ambrosio dos Anjos and his comrade Pedro dos Santos. The work focuses on and discusses in detail the last two missionaries who played a major role in the creation of the Augustinian Gori mission. We know little about the activities of the mission, which existed for a short time (1628-1637).

Key words: Augustinian Mission; Gori; King Teimuraz I; Ambrosio dos Anjos; Pedro dos Santos.

ელდარი მამისთვალიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., N53,1400,
+995577251204, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
https://orcid.org/0000-0002-5978-7624

აბსტრაქტი: XVII საუკუნის დასაწყისიდან სპარსეთ-ოსმალეთს შორის მიმდინარე ხანგრძლივმა ომმა (1602-1618) სერიოზული საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია, რამაც ოსმალეთის დამარცხებით დაინტერესელებული რომის პაპისა და ევროპის სახელმწიფოების გააქტიურება გამოიწვია. რომის კურიამ დაუყოვნებლივ გამოამჟღავნა ინტერესი ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის მიმართ. იწყება მისი წარმომადგენლების - სხვადასხვა კათოლიკური ორდენების მისიონერების ვიზიტები სპარსეთსა და კავკასიაში, მათ შორის საქართველოში.

ირანის ხელისუფლება, რომელიც არ იყო დარწმუნებული თავისი სამხედრი ძალების სიძლიერეში (ყოველ შემთხვევაში ომის დაწყების პირველ პერიოდში მაინც), ცდილობდა მოკავშირეები შეეძინა ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებში, რომლებიც არანაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი ოსმალეთის სრულად განადგურებით ან დასუსტებით. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანების დაცვას, რაც იოლი საქმე არ იყო. შაჰ აბას I კი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით, ქრისტიანების დამცველად აცხადებდა თავს, თანახმა იყო პაპის წარმომადგენლებს - კათოლიკე მისიონერებს ეცხოვრათ მის სამფლობელოებში და ნებას რთავდა სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანები გაეკათოლიკებინათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისიონერების გაგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს ორ სამეფოში - ქართლსა და კახეთში, რომლებიც შაჰის ვასალები იყვნენ, შაჰ აბასის ნებაზე იყო დამოკიდებული. რაც კარგად ჩანს წინამდებარე სტატიაში დამოწმებული მასალებიდან.

სტატიაში საუბარია ავგუსტინელთა ორდენის ბერი-მისიონერების - ბელშიორ დუშ ანჟუსის და გულიერმ დი სანტო აგოშტინიოს, ჯოვანი ტადეო დე სან' ელისეოს, გვილელმო პორტუგალიელის და პორტუგალიელების - ამბროსიო დუშ ანჟუსისა და მისი თანამებრძოლის პედრო დუშ სანტოშის შესახებ. ნაშრომში განსაკუთრებითაა გამახვილებული ყურადღება და ვრცლადაა საუბარი ორ უკანასკნელ მისიონერზე, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ავგუსტინელთა გორის მისიონის დაარსებაში. ცოტა რამ ვიცით მისიონის საქმიანობაზე, რომელმაც მცირე ხანს იარსება (1628-1637).

საკვანძო სიტყვები: ავგუსტინელთა მისიონი; გორი; მეფე თეიმურაზ I; ამბროსიო დუშ ანჟუსი; პედრო დუშ სანტოში.

მეთოდები: წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები: XV საუკუნის 80-იანი წლებიდან XVII საუკუნის დასაწყისამდე საქართველოში მისიონერების ყოფნაზე თითქმის არავითარი ცნობა გაგვაჩნია. ასეთი მდგომარეობა განპირობებული იყო ორი უზარმაზარი იმპერიის – სპარსეთისა და ოსმალეთის ურთიერთბრძოლის ასპარეზად საქართველოს გადაქცევა, რომელშიც მეტ-ნაკლებად ჩაბმული იყო ქვეყნის სამეფო-სამთავროები. ბუნებრივია, ამგვარ ვითარებაში ლათინი მისიონერების საქმიანობისათვის ყოველთვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი ავგუსტინელთა ორდენის მისიონერების საქმიანობა საქართველოში. მათ ჩვენ ქვეყნაში ხანმოკლე ყოფნის მიუხედავად, საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს მისი ისტორიისათვის. ნათლად ჩანს, ავგუსტინელი ბერების და ქართველ ხელისუფალთა სხვადასხვა ინტერესები, მაგრამ ისიც გამოსჭვივის, რომ ისინი სხვადასხვა ინტერესებიდან გაგმომდინარე ერთმანეთთან კონტაქტების დამყარებისკენ ისწრაფოდნენ. ნაშრომში დამოწმებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რამდენად იყო დამოკიდებული შაჰ-აბას I-ის ნებაზე მისიონერების ყოფნა აღმოსავლეთ საქართველოში .

დისკუსია. XV საუკუნის 80-იანი წლებიდან XVII საუკუნის დასაწყისამდე კათოლიკე მისიონერების საქართველოში ყოფნაზე თითქმის არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. ასეთი მდგომარეობა განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველო გადიქცა ორი უზარმაზარი იმპერიის – სპარსეთისა და ოსმალეთის ურთიერთბრძოლის ასპარეზად. საქართველოს სამეფო-სამთავროები მათი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩაბმულნი იყვნენ პოლიტიკურად და შეიარაღებული ძალებით ამ საერთაშორისო მნიშვნელობის კონფლიქტში. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში, სამისიონერო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა.

სპარსეთ-ოსმალეთის მესამე ომის (1602-1618) დაწყებისთანავე, შაჰ აბას I-მა განიზრახა ოსმალთის მიმართ მტრულად განწყობილი ევროპის სახელმწიფოების სუვენერები თავის მოკავშირეებად გაეხადა (გაბაშვილი, 1954: 101-127; მამისთვალიშვილი, 2022: 26-41; История, 1999; Финкель, 2010). ამას მოჰყვა რომის პაპის მიერ მისიონერების გაგზავნა სპარსეთში, რომლებსაც შაჰი კათოლიკური პროპაგანდისთვის ხელსაყრელ პირობებს პირდებოდა. მისიონერების შემოსვლას სპარსეთიდან საქართველოში შაჰ-აბასი ხელს უწყობდა, უფრო მეტიც, პაპს მთელი საქართველოს გაკათოლიკებას პირდებოდა. ქართლ-კახეთის მეფეები და სამცხის ათაბაგიც, სხვადასხვა ინტერესებით მოტივირებულები, თვითონ იწვევდნენ მისიონერებს და ყოველმხრივ დახმარებას აღუთქვამდნენ.

შაჰ-აბასმა ოსმალეთთან ომის დროს გააქტიურა დიპლომატიური ურთიერთობა როგორც რომთან, ისე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, რამაც კათოლიკე მისიონერებს გაუიოლა

სპარსეთში საქმიანობა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ავგუსტინელი და ფეხშიშველი (Scalci) კარმელიტი მისიონერები.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ახსოვდათ კათოლიკე მისიონერების სიკეთე. როგორც წესი მისიონერებმა წირვა-ლოცვის გარდა იცოდნენ ბევრი სხვა რამეც: მკურნალობა, ქირურგობა, ხუროობა და სხვადასხვა საამშენებლო ხელობა, მათ შორის ზოგჯერ იყვნენ მხატვრები და სხვ. ამას გარდა განათლებულ და ენების მცოდნე მისიონერებს ქართველი მეფე-მთავრები დიპლომატიური ხასიათის დავალებებსაც აძლევდნენ და აგზავნიდნენ პაპის კურიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში.

ნაშრომი დაგვანახვებს ქართველ ხელისუფალთა დაინტერესებას მისიონერების საქართველოში ყოფნით. მათი ინტერესი უპირატესად იყო პრაგმატული და განპირობებული მისიონერების მიერ ზემოთდასახელებული ხელობების ცოდნით. მაშასადამე, მისიონერების საქართველოში ჩამოსვლით, სხვადასხვა მიზნებით დაინტერესებული იყო ორივე მხარე – რომის კურია და საქართველოს ფეოდალური ელიტა, ცდილობდა თავისი ინტერესები ერთმანეთის მოთხოვნილებებისათვის შეეთანხმებინათ.

XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ აბასის მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკით წახალისებული მრავალი ავგუსტინელი და კარმელიტი მისიონერი ჩავიდა სპარსეთში.

* * *

საინტერესო, მაგრამ ხამოკლე ამბავს მოგვითხრობს ისტორიული წყაროები ავგუსტინელი ბერების და ქართველ ხელისუფალთა სხვადასხვა ინტერესების მიუხედავად, ერთმანეთთან კონტაქტების დამყარებისკენ სწრაფვაზე XVI-XVII საუკუნეთა შესაყარზე. 1597 წელს სპარსეთში ჩასული პორტუგალელი მისიონერი ანტონიო 1610 წელს იხსენებდა, რომ ის შეხვდა მესხეთის ათაბაგ მანუჩარ II-ს. „მანუჩარ ხან მთავარმა, რომელიც ქართველების ერთი სამთავროს პატრონია, ესრედ მითხრა ისფაჰანში, დიდათ მოხარული ვიქნები, უკეთუ რავედნიმე თქვენი მღვდელი წამომყვება ჩემს სამეფოში და თუ ერთ მკურნალსაც თან წამოიყვანს უფრო დიდად პატივცემული იქმნებიანო“ (თამარაშვილი, 1902: 83).

მ. თამარაშვილის მიხედვით, იმავე დროს პატრი მელიქიორი დეზანჟი (ი. ტაბაღუას მიხედვით: ბელშიორ დუშ ანჟუში (ტაბაღუა, 1986: 26)) სპარსეთში მეფის პალატში ყოფნის დროს, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის თხოვნის თანახმად, დაპირდა, რომ წაყვებოდა საქართველოში, მაგრამ ლუდოვიკო პერეირე დელჩერდამ (ი. ტაბაღუას ვარაუდით – ლუის პერეირა დე ლასერდა), რომელიც ესპანეთის ელჩად იყო სპარსეთს გაგზავნილი, არ დათანხმდა მის წასვლას საქართველოში, რადგან არ უნდოდა მასთან დაშორება. საინტერესოა, მაგრამ ნაკლებად სანდო, სხვა მისიონერის, ანტონიო დე გუვეას (გუვეა, ანტონიო დე (1575-1628), ავგუსტინელი მისიონერი და პორტუგალიელი ელჩი, რომელიც სამჯერ ეწვია სპარსეთს 1602-1613 წლებში და წერდა სპარსეთზე) მონათხრობი, რომ სამცხის ათაბაგი მანუჩარი ხშირად დაიარებოდა მათ ეკლესიაში და აღტაცებით ისმენდა კათოლიკურ წირვა-ლოცვას (თამარაშვილი, 1902: 84).

1604 წლის 22 აპრილს შაჰაბას I-ს (1587-1629) ეწვია ესპანეთის მეფე ფილიპე III-ის (1598-1621) მიერ სპარსეთში გაგზავნილი მეორე ელჩობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა

პორტუგალიელი დიპლომატი ლუიშ პერეირა დე ლასერდა. ელჩობაში იმყოფებოდნენ ავგუსტინელთა ორდენის ბერები – ბელშიორ დუშ ანჟუში და გილიერმ დი სანტო აგოშტინიო (Gulbenkian, 1972: 102; ტაბაღუა, 1986: 22). ელჩობის ისფაჰანში ჩასვლისას შაჰ აბასი ოსმალებთან ომის გამო, არზრუმთან იდგა. ელჩები მასთან გაემგზავრნენ. შაჰმა ისინი დიდი პატივით მიიღო, შემდეგ კი ყაზვინში მიიწვია. ესპანეთის მეფის ეს ელჩობა ჩვენთვის საინტერესოა იმითაც, რომ ელჩები სპარსეთში შეხვდნენ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს (1574-1605), რომელმაც ერთ-ერთი მათგანი, თავის სამეფოში მიიპატიჟა, მაგრამ უარი მიიღო. ბელშიორ დუშ ანჟუშმა შაჰის კარზე გაიცნო სამცხის ათაბაგი მანუჩარ II (1581-1614), რომელიც რ. გულბენკიანს ოდიშის მთავარი მანუჩარ I (1516-1518) ეგონა (Gulbenkian, 1972: 102). ამ სასულიერო პირს კვლავ შევხვდებით იმავე საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ავგუსტინელმა ბერებმა განიზრახეს სისრულეში მოეყვანათ დაახლოებით 15 წლის წინათ შემუშავებული პროექტი – საქართველოში თავიანთი მისიონის დაარსება.

ცნობილი იტალიელი მოგზაური და დიპლომატი პიეტრო დელა ვალე მოგვითხრობს, რომ თეიმურაზ მეფემ ტადეოს პატივი სცა არა როგორც სპარსეთის შაჰის მოციქულს, არამედ როგორც კათოლიკე მისიონერს (პიეტრო დელა ვალე, 1879: 33). „თეიმურაზ მეფემ მას უბოძა და ჩააბარა მიწა, რამე თუ ისურვებდა, აეგო თავისი სარწმუნოების წესის ეკლესია“ (ტაბაღუა, 1986: 21). ჯერ კიდევ 1605 წელს, კახთა მეფე ალექსანდრე II-მ ირანში ყოფნის დროს პორტუგალიელ მისიონერებს შესთავაზა კათოლიკური ეკლესია კახეთში, თუ ისინი ინებებდნენ საქართველოში წასვლას (ტაბაღუა, 1986: 24). სავარაუდოა, რომ მეფე გულისხმობდა მისონერებისათვის კათოლიკური ეკლესიის აგებას. მეფის ნათქვამის სხვანაირად გაგება არ შეიძლება, რადგან ამ დროისათვის კახეთში დასრულებული კათოლიკური ეკლესიის არსებობა შეუძლებელი იყო. მისიონერი ბელშიორ დუშ ანჟუსი დაინტერესდა: მისიონერი მეფეს თუ დათანხმდებოდა, მიიღებდა თუ არა კახეთში პატარა კათოლიკურ ეკლესიას. მან ამ კითხვით მიმართა ალექსანდრე კახთა მეფის თანმხლებ ალავერდელ მიტროპოლიტს. თავის მხრივ, ალავერდელმა ბელშიორ დუშ ანჟუსს ჰკითხა, რა მიზნით უნდოდა მას კათოლიკური ეკლესია. პორტუგალიელმა უპასუხა: ავგუსტინელებს სურდათ ქართველებისთვის ეჩვენებინათ კათოლიკური ღვთისმსახურება, ცერემონიალები, რათა შეჩვეოდნენ მათ. ქარეთველებს თუ მოეწონებოდათ კათოლიკური ეკლესია, ისინი მასთან გაერთიანდებოდნენ. ალავერდელის პასუხი იყო მტკიცე და შეუვალი: თუ თქვენ გინდოდათ ჩვენთვის იძულებით მოგეხვიათ პაპისადმი მორჩილება, მაშინ უნდა დაგვეწყო თავიდან (სავარაუდოა, ალავერდელს მხედველობაში ჰქონდა საეკლესიო განხეთქილებამდელი პერიოდი), და თუ გინდოდათ გქონებოდათ მხოლოდ კათოლიკური ეკლესია კახეთის სამეფოში, მაშინ მიიღებდნენ მისიონერებს დიდი პატივით და შეეცდებოდნენ, მათ ჰქონებოდათ რომაული სტილის კათოლიკური ეკლესია (Gulbenkian, 1972: 27; Alonso, 1978: 33; პაპაშვილი, 1995: 143-144).

ბელშიორ დუშ ანჟუსი ესპანეთის მეფე ფილიპე მესამისათვის გაგზავნილ თავისი მუშაობის ანგარიშში წერდა, რომ ალეიშო დე მენესესმა (Alejo de Meneses, 1595-1612) დაიყოლია ავგუსტინელების არქიეპისკოპოსი გოაში, სპარსეთში დაბრუნების შემდეგ 1608-1609 წლებში შეხვედროდა ქართველებს და მათი პატრიარქისგან მიეღო ნებართვა ალეიშო დე მენესესი ჩასულიყო საქართველოში და იქ ეცხოვრა. პატრიარქმა და მისმა ეპისკოპოსებმა უპასუხეს, რომ

თუ იქნება შაჰ აბასის თანხმობა, მას მიიღებენ უდიდესი სიამოვნებით მანამდე, ვიდრე ის, მენესესი არ შეეცდება ხელი შეუშალოს ქართველებს იცხოვრონ თავიანთი წესჩვეულებებით. ბელშიორმა თავის მეფეს ისიც აცნობა, რომ ქართველი იერარქების პასუხი გააგზავნა გოაში 1610 წლის დასასრულს, მაშინ, როდესაც ის აპირებდა ინდოეთიდან პორტუგალიაში დაბრუნებას. მან ისიც აღნიშნა, რომ მართალია აბასი წინააღმდეგი არ იყო მისიონერების საქართველოში ვიზიტის, მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელი იყო, რომ ის უფლებას მისცემდა მისიონერებს დასახლებულიყვნენ იქ სამუდამოდ. შაჰი ეჭვობდა, რომ მისინერები ჩააგონებდნენ ქართველებს უარი ეთქვათ სპარსეთისათვის გადაეხადათ ყოველწლიური ხარკი ბიჭებითა და გოგონებით, რომლებსაც სპარსეთში ჩაყვანის შემდეგ გაზრდიდნენ მუსლიმანებად, რათა ემსახურათ შაჰისა და მისი დიდებულების არმიასა და ჰარამხანებში. ბელშიორმა თავის მეფეს შესთავაზა, რადგან ის და აბასი მეგობრობდნენ, ამიტომ ფილიპეს ეთხოვა შაჰისათვის, ორი ავგუსტინელი მისიონერისათვის აღმოსავლეთ საქართველოში დასახლების ნება მიეცა. მაგრამ ამ წინადადებიდან არაფერი გამოვიდა, ისევე როგორც იმ გეგმიდან, რომელიც ითვალისწინებდა იეზუიტებისა და დომინიკანელების მისიების დაარსებას დასავლეთ საქართველოში (Flannery, 2013: 200).

1627 წელს პიეტრო დელა ვალე პაპს მოახსენებდა, რომ შაჰ აბასი წინათ მეგობრულად იყო განწყობილი თეიმურაზ მეფისადმი და ნათქვამის საილუსტრაციოდ მან გაიხსენა 1611 წლის ამბავი, როდესაც მისი ცოლის, დედოფალ ანას გარდაცვალების გამო, მგლოვიარე მეფე თეიმურაზს, შაჰმა სამძიმარისა და წერილის გადასაცემად მასთან გაგზავნა ფეხშიშველი კარმელიტი მამა ჯოვანი ტადეო დე სან' ელისეო, რომელიც ამჟამად სპარსეთშიაო – წერდა პიეტრო დელა ვალე. როდესაც ჯოვანი ტადეო შაჰის წერილით ეწვია კახეთს, ის უკვე ავგუსტინელთა ორდენის კარმელიტების მისიონს ხელმძღვანელობდა სპარსეთში. მეფე თეიმურაზმა მის მიმართ გამოავლინა უაღრესად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, შაჰის დესპანს მეგობრობა შესთავაზა და დიდი პატივი სცა არა როგორც სპარსეთის მეფის გამოგზავნილს, არამედ როგორც კაცურ კაცს და ევროპელ (კათოლიკე) სამღვდელო პირს. მეფემ მას საჯაროდ აწირვინა თავის უმთავრეს ეკლესიაში, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ ალავერდის ტაძარი. წირვას ესწრებოდა მიტროპოლიტი. მეფესაც უნდოდა დასწრება, მაგრამ რაღაც გარემოებამ შეუშალა ხელი. მეფე თეიმურაზსა და ალავერდელ მიტროპოლიტზე საუბრის დასრულების შემდეგ, დელა ვალე დაასკვნის: „ერთის სიტყვით, როგორც მეფემ ისე ალავერდ მიტროპოლიტმაც, რომელიც ითვლებოდა როგორც ფრიად გონიერი კაცი და რომის საქმის ერთგულად მსახური, გამოიჩინეს, თვითონ პატრის (ჯოვანი ტადეო დე სან'ელისეო-ე.მ.) სიტყვით, რომის ეკლესიისადმი ისეთი გულ-მიდრეკილება, რომ მეტი აღარ შეიძლება“ (Valle, 1693: 1-14; ვალე, 1879: 33).

ჯოვანი ტადეო დე სან'ელისეო საკმაოდ განსხვავებულად ლაპარაკობს პაპისთვის გაგზავნილ წერილში, მეფე თეიმურაზისა და კათალიკოსის თხოვნაზე წირვა დაეყენებინა ქართველების მიერ შეთავაზებულ ტაძარში. მისიონერს უარი უთქვამს, რადგან ქართული ეკლესია დაკავშირებული არ იყო რომის ეკლესიასთან, მაგრამ მზად იყო წირვა დაეყენებინა სომხების ეკლესიაში. სომხებმა, როგორც ჯოვანი ტადეო გადმოგვცემს, მაშინვე აღიარეს უფროსად და ღვთიური ეკლესიის მეთაურად რომის პაპი. ამის შემდეგ ჯოვანი ტადეომ „მოაწყო

საკურთხეველი რომაულ ყაიდაზე, თან ჩამოტანილი ჭურჭლეულობით და სხვა აუცილებელი საგნებით და დააყენა წირვა ლათინურ წესზე. დარბაზში სხვა მორთულობასთან ერთად იდგა ტახტი, როგორც მეფისათვის, ისე კათალიკოსისათვის. წირვას დაესწრო კათალიკოსი, ხოლო მეფე არ იმყოფებოდა. მან ბოდიში მოიხადა ნადირობით დაკავებულობის გამო“ (Eliseo, 1604; ტაბაღუა, 1986: 19-20). საფიქრებელია, რომ თეიმურაზ მეფე შეგნებულად არიდებდა თავს კათოლიკურ რელიგიურ რიტუალს და მართლმადიდებლებისათვის მიუღებელ სიწმინდეების რელიეფურ გამოსახულებებს. ამ მოსაზრებას მისაღებს ხდის თუნდაც ის ერთი მაგალითი, შემონახული ამბროსიო დუშ ანჟუსის მიერ გორიდან რომში გაგზავნილ ერთ ვრცელ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1626 წლის 29 ივნისით, მოთხრობილია ავგუსტინელების საქართველოში ჩასვლის დროიდან მეფე თეიმურაზთან პირველ შეხვერამდე თავგადასავალი. ამბროსიო წერს : აუდიენციის დროს „მეფეს მივეცი პატარა ქრისტეს გამოხატულება და კიდევ ერთი ჩვენი მბრძანებლის, ქალწულის ქანდაკება. რამდენადაც ისინი არ სარგებლობენ გარდა ფერწერისა სხვა ნაწარმოებით, მათ ნაკლები ყურადღება მიაქციეს ამ საჩუქრებს და ყუთში ჩააგდეს. ერთ დღეს, როდესაც მე მასთან ვსაუბრობდი, მან უბრძანა მოეტანათ ისინი და აიღო რა ხელში წმ. ქალწულის სახე, მითხრა, რომ იგი მას თაყვანს არ სცემს, რამდენადაც ეს კერპია და არა სახე და, რომ სახე გამოხატული უნდა იყოს სურათის სახით და არა ქანდაკების სახით. და, თითქოს, ასევე უღირსად ეპყრობოდნენ ეს ბატონები ქრისტეს ბავშვის ქანდაკებებსაც“ (ხილი, 1991: 483). თიმურაზის მართლმადიდებლობისადმი ერთგულების სხვა მრავალი მაგალითი არსებობს.

დავუბრუნდეთ ჯოვანი ტადეოზე საუბარს. ზოგიერთი სხვა ინფორმაციაც გვაქვს მისი ბიოგრაფიიდან. ის სამ მისიონერთან ერთად 1604 წელს რომიდან სპარსეთში გაემგზავრა და შაჰ-აბასს პაპი კლემენტი VIII-ის (1592-1605) ეპისტოლე წაუღო. მისიონერებმა რეჩ პოსპოლიტასა და რუსეთზე გავლით იმოგზაურეს. ისინი რეჩ პოსპოლიტაში იმყოფებოდნენ, როცა პაპი კლემენტი VIII გარდაიცვალა. ახალმა პაპმა პაოლო V-მ (1605-1621) მათ გზის გაგრძელების ნება დართო. ჯოვანი ტადეო და მისი თანამგზავრები 1607 წლის 20 დეკემბერს ისფაჰანში ჩავიდნენ, სადაც იმყოფებოდნენ ესპანეთის მეფის მიერ წარგზავნილი ავგუსტინელი მისიონერები, რომის პაპის წარმომადგენელი კარმელიტი მისიონერები და საფრანგეთის წარმომადგენელი კაპუცინი მისიონერები. ჯოვანი ტადეომ ისფაჰანში შაჰ აბასს გადასცა გერმანიის იმპერატორის, რეჩ პოსპოლიტის მეფისა და რუსეთის მეფის წერილები. შაჰმა საპასუხო წერილების წაღება დასახელებულ მბრძანებლებთან, მასვე დაავალა.

ევროპისკენ მიმავალმა პატრმა საქართველოში გაიარა და, როგორც აღინიშნა, თეიმურაზს შაჰის სიტყვიერი სამძიმარი და წერილი გადასცა. მისიონერმა იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კახეთის მეფეზე, რომ მან მისიონერს სთხოვა: თუ კახეთში დარჩებოდა, მისცემდა მიწას მონასტრისა და საცხოვრებელი სახლის ასაგებად, მისცემდა მსახურებს. ჯოვანი ტადეო დაპირდა მეფეს, რომ დაბრუნდებოდა კახეთში (ტაბაღუა, 1986: 20), მაგრამ ეს აღარ მოხდა. ჯოვანი ტადეო კათოლიკე ეპისკოპოსი იყოს პარსეთში.

ჯოვანი ტადეო დარუბანდის გზით ასტრახანში ჩავიდა, სადაც სამი წლით შეყოვნდა, შემდეგ კი მოსკოვის მეფეს შაჰის წერილი გადასცა. მას დავალებული ჰქონდა აგრეთვე

ეწარმოებინა მოლაპარაკება მოსკოვისა და პოლონეთის მეფეებთან ზოგიერთ ანტიოსმალური ღონისძიების შესახებ (ტაბაღუა, 1986: 20).

ჯოვანი ტადეო ისფაჰანში შეხვდა საქართველოსკენ მიმავალ პირველ თეატინელებს და მათ მოუთხრო იმ გზებზე რომლებითაც იქ მოხვედრა შეიძლებოდა (არკანჯელო ლამბერტი, 2020: 108). ჯოვანი ტადეო იმდენად კარგად დაეუფლა სპარსულს, რომ მოგვიანებით მან და პიეტრო დელა ვალემ თეიმურაზ I-სა და კათალიკოს ზაქარიას მიერ რომში გაგზავნილი სპარსულად შედგენილი წერილები იტალიურად თარგმნეს (ტაბაღუა, 1986: 19-20, 32). ჯოვანი ტადეომ საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები და თავისი მოსაზრებები მოხსენებითი ბარათის სახით კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს გაუგზავნა (ტაბაღუა, 1986: 21).

თამარაშვილი გვამცნობს, რომ 1613 წელს საქართველოში მოვიდნენ ავგუტინელი გვილელმო პორტუგალიელი, კარმელიტი პატრი ივანე თადეოზი და პატრი პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცა, მაგრამ მათი საქმიანობის ამსახველი მასალებისთვის ვერ მიუკვლევია (თამარაშვილი, 1902: 75). მოსალოდნელია დასახელებული პატრები ერთად და ერთდროულად არ იმყოფებოდნენ საქართველოში. წმ. პროპაგანდა ფიდეს არქივში დაცულ დოკუმენტში წერია, რომ 1616 წლის ივნისს-ივლისში ნახჭევნიდან საქართველოში ჩამოვიდა დომინიკანელთა წინამძღვარი–ვიკარიუსი წმ. მამა პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცა (Archovio, v. 209: ff. 376-479; ტაბაღუა, 1986: 58). როგორც ჩანს ის, გარკვეული მიზნით და დავალებით ჩამოვიდა საქართველოში: მას უნდა შეეგროვებინა ცნობები საქართველოს შესახებ, რომლის მიმართ ინტერესი, როგორც ზემოთ განხილული ცნობებიდან უნდა დავრწყმუნებულიყავით, უკვე მძლავრობდა რომისა და ესპანეთის კათოლიკურ წრეებში. პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცამ მოკლე დროში „გულწრფელი“ ცნობები შეადგინა და რომის პაპს, პაოლო V-ს წარუდგინა. 1621 წელს იგი ბეჭდური სახით გამოქვეყნდა ნეაპოლში (Paolo, 1621; თამარაშვილი, 1902; Tamarati, 1912; ტაბაღუა, 1979: 39-45; ტაბაღუა, 1986: 58-61).

იმ ავგუსტინელ მისიონერთა შორის, რომელთაც მოუხდათ საქართველოში ყოფნა, მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ამ ორდენის ორი წარმომადგენელი, პორტუგალიელი მისიონერები ამბროსიო დუშ ანჟუსი და მისი თანამებრძოლი პედრო დუშ სანტოში, რომლებმაც უძვირფასესი ცნობები დატოვეს ქეთევან წამებულისა და სპარსეთში გადასახლებული მათი თანატომელების შესახებ (Gulbenkian, 1987; ტაბაღუა, 1974; ტაბაღუა, 1986; მამისთვალიშვილი, 2022).

ამბროსიო დუშ ანჟუში (ნამდვილი გვარი – ჟუაუ პინტო) დაიბადა ლისაბონში ცნობილი და სახელგანთქმული გვარის წარმომადგენელთა – კოსმე პირესა და კატერინ ალვარესის ოჯახში. ამბროსიოს დაბადების წელი უცნობია, ვარაუდობენ, რომ ის უნდა დაბადებულიყო, დაახლოებით, 1591 წელს, რამეთუ 1611 წლის 27 ნოემბერს შევიდა ავგუსტინელ განდეგილთა კონგრეგაციაში, შემდეგ კი პორტუგალიის პროვინციაში ეკურთხა მღვდლად. ამ დროს ის უნდა ყოფილიყო 18 ან 19 წლისა. ამბროსიომ 1612 წლის 28 ნოემბერს მიიღო რელიგიური აღსარება, 1618 წელს ეკურთხა მღვდლად. იმავე წელს ამბროსიო, როგორც ელჩობის წევრი, გაგზავნეს სპარსეთის სატახტო ქალაქ ისფაჰანში. ელჩობას ხელმძღვანელობდა დონ გარსია დე სილვეა ფიგუეროა (Alonso, 1978: 142). მან შვიდი წელი გაატარა ისფაჰანში, ორი წელი – შირაზში. ამის შემდეგ ამბროსიო 1628 წლის 11 მაისს ჩამოდის საქართველში, კერძოდ, გორში, სადაც

ინტერვალებით დაყო დაახლოებით 9 წელი, 1637 წლამდე. 1640 წელს მან რომში წარადგინა სპარსეთსა და საქართველოში გაწეული შრომის ანგარიში. ერთი ვერსიით. ამბროსიო იმავე 1640 წელს აპირებდა დაბრუნებას საქართველოში, მაგრამ ზღვაში დაიღუპა (Alonso, 1978: 277; Flannery, 2013: 201). სხვა ვერსიით, რომელსაც უფრო სანდოდ მიიჩნევენ, ამბროსიო დაიღუპა 1643 წელს (Flannery, 2013: 238).

XVII საუკუნის დასაწყისიდან სპარსეთში მყოფმა ავგუსტინელებმა განიზრახეს მისიონის დაარსება საქართველოში, რომლის წარსულისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეეძლოთ შაჰ აბასის მიერ სპარსეთში გადასახლებული, იქ მუდმივად მცხოვრები ან სხვადასხვა მიზნით დროებით ჩასული ქართველებისგან. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე მოგზაურ-დიპლომატების და სხვათა ცნობები, რაც აცხოველებდა მათ ინტერესს ჩვენი ქვეყნის მიმართ (ლუის ხილი, 1991; მამისთვალიშვილი, 2011: 149-191). როგორც აღინიშნა, XVII საუკუნის დასაწყისიდან მოღწეულია ცნობები ავგუსტინელების ორდენის მისიონერების კონტაქტების შესახებ სამცხის ათაბაგ მანუჩარ მეორესთან და კახეთის მეფე ალექსანდრე მეორესთან.

საინტერესოა, რომ პირველი ლათინი, თანაც ავგუსტინელი მისიონერი, რომელიც საქართველოში მოვიდა XVII საუკუნის დასაწყისში, იყო გილიერმ დი სანტო აგოშტინიო, ასე ამბობს რობერტო გულბენკიანი და მის მიხედვით, ილია ტაბაღუა (Gulbenkian, 1972: 77; ტაბაღუა, 1986: 32-33). გილიერმი დი სანტო აგოშტინიო 1608-1610 წლებს შორის პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა (Gulbenkian, 1972: 77; ტაბაღუა, 1986: 32), მაგრამ მისი საქმიანობის შესახებ არაფერია ცნობილი. იგი 1613 წლის 19 ოქტომბერს მძარცველებმა მოკლეს ნახჭევანის მახლობლად (Gulbenkian, 1972: 53). პიეტრო დელა ვალე მოგვითხრობს, რომ, როდესაც თეიმურაზ I-ს (1606-1658) პირველი მეუღლე, დედოფალი ანა, გარდაეცვალა, „შაჰ-აბასმა, რომელიც მაშინ მისი მეგობარი იყო და რომელიც დღესაც ხელმწიფობს, მას სამძიმრის სათქმელად გაუგზავნა პატრი ფრა ჯოვანი-თადეო, წმინდა ელისეის კარმელიტელი ფეხ-შიშველის ხელით. ეს პატრი ეხლა სპარსეთშია და უწინ იქაურის მისიის უმფროსი იყო“ (პიეტრო დელა ვალე, 1879: 33). თეიმურაზ მეფეს დიდად მოეწონა პატრი, დაუმეგობრდა, პატივს სცემდა იმიტომ კი არა, რომ სპარსეთის ხელმწიფისგან გამოგზავნილი იყო, არამედ როგორც კარგ პიროვნებასა და ქრისტიან სამღვდელო პირს. მას საჯაროდ აწირვინა თავის უმთავრეს ეკლესიაში, ალბათ ალავერდის ტაძარში კახეთის მიტროპოლიტის თანდასწრებით, მაგრამ მეფე იქ არ იმყოფებოდა. თეიმურაზ მეფემ მისიონერს უბოძა ისეთი მიწის ნაკვეთი, სადაც მას შეეძლო აეშენებინა კათოლიკური ეკლესია და მონასტერი (Informatione, 1693: 1-14; ვალე, 1879: 33).

ფრა ჯოვანი ტადეო სანტ'ელიზეომ ფეხშიშველი კარმელიტების ვიკართან ერთად ორი წელი გაატარა მოსკოვში (რუსეთი), მაშინ როდესაც სპარსეთის შაჰმა აბასმა ის იქ გაგზავნა იმ ქვეყანაში რაღაც დავალებებით (Valle I, 1843: 620; მამისთვალიშვილი, 2022: 345). ჯოვანი ტადეოს საქართველოში ყოფნაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ მან გარკვეული როლი შეასრულა მისიონერების საქართველოთი დაინტერესებაში. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, ჯოვანი ტადეომ თეატინელ მამებს უამბო საქართველოსა და იქ მისასვლელი გზების შესახებ, ხოლო იმავე თეატინელებმა ავგუსტინელებისგან შეიტყვეს, „რომ მამა ფრატ' ამბროსიო დუშ ანჟუსი ექვსი თვის წინ ყოფილა საქართველოში და თეიმურაზ მეფისთვის მისი დედის, შირაზის

ხანის მიერ რწმენისათვის სიკვდილით დასჯილი ქეთევანის სხეული გადაუცია, რომელიც მამა ფრატ' ამბროსიოსათვის პორტუგალიელებს უჩუქებიათ (არკანჯელო ლამბერტის ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება, ე.მ.). ეს ხელსაყრელი შემთხვევა მან საქართველოში თავისი ორდენის მისიის დასაარსებლად გამოიყენა" (ლამბერტი, 2020: 108-109).

ამბროსიო სხვაგვარად მოგვითხრობს დედოფლის ნეშტის მიგნების, მისი მიწისგან გასუფთავებისა და შირაზში ავგუსტინელების ეკლესიაში საიდუმლოდ გადატანის შესახებ (გულბენკიანი, 1987: 42).

მართლაც, ავგუსტინელებმა ხელსაყრელად ჩათვალეს, წამებით მოკლული ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი მისი შვილის, ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-სთვის წაეღოთ საქართველოში და ამით მიეღწიათ მისგან მისიონის დაარსების ნებართვის მიღებას. ამგვარი რჩევა აბროზიო დუშ სანტუშს მისცა ავგუსტინელ მისიონერთა პრეფექტმა. მან ქეთევანის ნეშტის საქართველოში წასვენება დაავალა ამბროსიოს და მეორე პორტუგალიელ მისიონერს, სებასტიანოს. 1627 წლის აგვისტოში ამბროსიომ მამა სებასტიანო დე ჯესუსთან ერთად აიღო გეზი საქართველოსკენ, მაგრამ მხოლოდ ქ. სოლთანიამდე მიაღწიეს. ამბროსიოს ავადმყოფობის გამო იძულებულნი გახდნენ, იმავე წლის 1 ნოემბერს უკან, ისფაჰანში, დაბრუნებულიყვნენ (Flannery, 2013: 215). ბოლოს, როგორც ამბროსიოს 1628 წ. 20 ივნისს გორიდან გაგზავნილი წერილიდან ჩანს, მან და მორჩილმა ძმამ პედრო დუშ სანტოშმა 1626 წლის ოქტომბერში დატოვეს გოა, ჩავიდნენ ისფაჰანში, იქიდან კი შირაზში, სადაც მიაგნეს ქეთევან დედოფლის საფლავს, რომელიც ერთ ღრმა ორმოს წარმოადგენდა, ნეშტი ამოიღეს და ავგუსტინელთა ეკლესიაში გადაიტანეს (გულბენკიანი, 1987: 42). იმავე წერილში აღნიშნულია აგრეთვე ის დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც იყო ავგუსტინელი მამების მიერ ქეთევან წამებულის ნეშტის წმ. ნაწილის ჩამოტანა საქართველოში, რაც მოხდა 1628 წ. 11 მაისს, ხუთშაბათს. საინტერესოა, მაგრამ დამადასტურებელი წყაროები არ გვაქვს იმის შესახებ, რასაც ალ. სავანელი მოგვითხრობს: ქრისტეს მოწამე ქეთევან დედოფლის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთის ქრისტიანებმა შეკრიბეს მისი წმინდა ნაწილები და დაკრძალეს „ეკლესიასა შინა, ქეთევანის მიერ აღშენებულსა ქალაქსა შირაზს". ალ. სავანელი შემდეგ საუბრობს ლათინი ხუცესმონაზვნების მიერ მოპარული, წმინდანის ერთ ნაწილზე, რომელიც კათალიკოს ზაქარიას მონაწილეობით „დაჰკრძალეს ქვეშე სამღთოისა ტრაპეზისა ალავერდის სობორო**Á**სა" (სავანელი, 1857: 46-47).

ამგვარად, მხოლოდ 1628 წელს ამბროსიო დუშ ანჟუსმა შეძლო ავგუსტინელთა მონასტრის დაარსება გორში. ახალი მისიონი დაარსდა არა ადრე არსებული მეგობრული კონტაქტების საფუძველზე, არამედ თეიმურაზის დედის სპარსეთში, შირაზში, მოწამებრივ სიკვდილის გამო (Flannery, 2013: 202).

ავგუსტინელებს სურდათ ქეთევან წამებული ვატიკანს კათოლიკური ეკლესიის წმინდანად შეერაცხა და რომისკენ მიმავალ სომხეთის ვიკარს, გრეგორიო ორსინის, ისფაჰანში გადასცეს შირაზში ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის „ნამდვილი ცნობები", რომელიც დაწერილი იყო ამბროსიოს მიერ. ამბროსიო მაშინ შირაზის წმ. ავგუსტინეს ორდენის მონასტრის ბერი იყო. ავგუსტინელმა მისიონერებმა, ითვალისწინებდნენ რა კათოლიკური ეკლესიისა და სამისიონერო საქმიანობის გამოჩენილი მოღვაწის გრეგორიო ორსინის დიდ

ავტორიტეტს რომში, მას სთხოვეს შუამდგომლობა პაპის წინაშე, წამებული ქეთევან დედოფლის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად შერაცხვისათვის. ისიც საინტერესოა, რომ ავგუსტინელმა მისიონერებმა ორსინის სთხოვეს, თავისი შეხედულების მიხედვით, „ნამდვილი ცნობები“ უცვლელად ჩაებარებინა ვატიკანში, ან მის საფუძველზე შეედგინა ახალი მოხსენებითი ბარათი, რაც მან მართლაც გააკეთა და იგი კარდინალთა კოლეგიას ჩააბარა (ტაბაღუა, 1987: 77-78).

მამა ამბროსიო დუშ ანჟუში გორიდან გაგზავნილი წერილით (1627 წ. 27 აპრილი) რომის პაპსა და პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს მოუთხრობდა დედოფლის წამებაზე, რაც მან აღწერა „მამა გრეგორიოს (ორსინი _ ე.მ.) მიერ ჩატანილი მისი უწმიდესობისათვის განკუთვნილ ცნობაში“.

თეიმურაზ I-მა დიდი პატივით მიიღო პატრები თბილისის სიახლოვეს, საფურცლეში (თანამედროვე სოფ. ნატახტარი), ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენციაში, ამბროსიო თავის სასახლეში დააყენა. პატრებმა მაშინვე არ მოახსენეს მეფეს თავიანთი ჩამოსვლის მიზეზი, მაგრამ თეიმურაზმა ისედაც იცოდა, რომ მისი დედის ნეშტი კათოლიკე მისიონერების ხელში იყო. ამის თაობაზე მას თვითონვე უთქვამს პატრებისათვის. როცა შეიტყო, რომ მათ მისი დედის ნაწილები მოიტანეს, დიდად გაიხარა.

მესამე დღეს, სპეციალური წირვის შემდეგ, რომელსაც მეფე და დედოფალი ესწრებოდნენ, ამბროსიომ 1628 წლის ივნისში მეფეს გადასცა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი. თეიმურაზის კითხვაზე, თუ რას ისურვებდნენ პატრები, მათ ითხოვეს გორში ეკლესიისა და საცხოვრებელი სახლის ასაშენებელი ადგილი. მეფემ პატრებს მათ მიერ შერჩეული მიწის ნაკვეთი უბოძა. გორში პატრებმა მონასტერი და სახლი ააგეს, რომელიც, როგორც ისინი ამბობდნენ, ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობა იყო მთელ საქართველოში. დონ ქრისტოფორო დე კასტელის მიხედვით, მისიონერებმა „თავიანთთვის იმოდენა სახლი ააშენეს, რომ შიგ მოხერხებულად ცხოვრება შესძლებოდათ. ასევე ააგეს მოციქულთა თავადისადმი (პეტრე მოციქული – ე.მ.) მიძღვნილი ეკლესიაც“ (კასტელი, 1976: 60).

1629 წელს თეიმურაზ I პაპ ურბან VIII-ს აცნობებდა: „ერთი წელიწადია, რაც ისფაჰანიდგან წმინდა აგვისტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი (ქეთევან დედოფლის – ე.მ.) გვამის ნაწილები. ამ სიკეთისათვის ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ მამა იგი: მივეცით მამული, რათა საცხოვრებლად საკმაო შემოსავალი ჰქონდეს, ეგრეთვე ვუბოძეთ ადგილი, რათა შესაფერი ეკლესია აიშენოს და როგორც სასუფევლის სავანეში მუდამ ილოცოს ჩვენთვის“ (თამარაშვილი, 1902: 108-109).

აქ უნდა გავიხსენოთ ამბროსიოს ნატვრა, რომელსაც ის უფალს უზიარებს: „ალბათ, უფალმა ინება ქართველების საშუალებით ეხსნა ქრისტიანები ესოდენ ტირანი და ურჯულო შაჰისაგან, ისევე, როგორც ჩვენ გვსურს ეს და ვევედრებით უფალს საშუალება მოგვცეს შევაღწიოთ საქართველოში, დავთესოთ იქ წმინდა სახარება, ჩვენი სარწმუნოების სიწმინდე გავუზიაროთ იმ ქრისტიანებს, რომლებიც ამას ესწრაფვიან და ხშირად გვიწვევენ კიდეც. ჩვენ მათთან ვერ მივდივართ არა სიკვდილის შიშით, არამედ... უფლის ბრძანებას ველოდებით“ (გულბენკიან, 1987: 46-47).

საყურადღებოა ის ცნობა, რომლის მიხედვით, „მისიონერებისადმი კეთილგანწყობილმა თეიმურაზ მეფემ, წმიდა მამა ამბროსიოს და მორჩილ ძმა პედროს საშუალება მისცა გორში, მდ.

მტკვრის პირას აეგოთ სახლი და ეკლესია“ (Metzler, 1972: 79-111). ამონარიდიდან ეჭვს იწვევს პატრების მიერ აშენებული ეკლესიისა და სახლის მდებარეობა, ადგილი - მტკვრის ნაპირი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გალავანში მოქცეული ქალაქი გორი მთელი მისი არსებობის განმავლობაში მდ. მტკვრისაგან რამდენიმე ასეული მეტრით იყო დაშორებული. მართალია ქალაქსა და მდინარეს შორის მანძილი დიდი არ იყო, მაგრამ დაშორების აღქმას აძლიერებდა ქალაქის დამცველი კედელი, რომლის გარეთ მონასტრისა და მით უმეტეს საცხოვრებელი სახლის აშენება სერიოზულ ხიფათთან იყო დაკავშირებული. ისიც უნდა ითქვას, რომ გვიანშუასაუკუნეების ევროპულ რუკებზე გორი დატანილი იყო მტკვართან, სხვა მდინარე-ები კი არ აღინიშნებოდა. მოსალოდნელია, გაუგებრობა ამ გარემოებას გამოეწვია. მდ. ლიახვიც თავისი არამდგრადი კალაპოტით, მართალია ციხესა და ქალაქის გალავანს დასავლეთის მხრიდან ძლიერ ახლოს ჩაუდიოდა, მაგრამ გალავნის გარეთ ლიახვის მხარეს რაიმეს აშენება შეუძლებელი იყო. შეიძლება ჯ. მეტცლერი შეცდომაში შეეყვანა იმ წერილობით ცნობას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გორი მდებარეობდა მდინარის პირას, მაგრამ არ იყო აღნიშნული მისი სახელი. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად მისაღებია, რომ მშენებლობა ჩატარდა მდ. მეჯუდის სიახლოვეს, გორის მეორე საჯარო სკოლის, ღვთისმშობლის ტაძრის და იმ სკვერის ტერიტორიაზე, სადაც მთავარანგელოზების ეკლესია აშენდა. ზოგადად, ისიც უნდა ითქვას, რომ გორის ციხის ბორცვის სამხრეთ აღმოსავლეთი მხარე გამოირჩეოდა ტაძრების სიმრავლით. შემდეგში ავგუსტინელებს ბაღიც ჰქონდათ გორში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, №1075: 22), მაგრამ არ ვიცით შეიძინეს თუ საჩუქრად მიიღეს.

1628 წლის 14 დეკემბერს გორში ჩამოსული თეატინელი მამები, როგორც არქანჯელო ლამბერტი წერდა, ამბროსიო დუშ სანტუშმა თავის სახლში მიიღო და შობა დღე მასთან „დიდი სულიერი სიხარულით იზეიმეს, შემდეგ კი მეფე თეიმურაზის თაყვანსაცემად გაეშურნენ“ (ლამბერტი, 2020: 114). როდესაც მეფემ თეატინელებისათვის გადაცემული ერთ-ერთი ურჩი სომეხი დიდებულისთვის ჩამორთმეული სახლი ძველ მეპატრონეს დაუბრუნა, თეატინელები ისევ ამბროსიომ შეიფარა. ბუნებრივია, თეატინელებს თავიანთი სახლი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მისი აშენებისათვის საჭირო თანხა არ გააჩნდათ. ამჯერადაც მათ მამა ამბროსიომ გაუმართა ხელი (არკანჯელო ლამბერტი, 2020: 120). თეატინელებისათვის გაწეულმა დახმარებამ თვით ამბროსიოც დიდ ფინანსურ გასაჭირში ჩააყენა (ლამბერტი, 2020: 128). ამბროსიოს ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, როდესაც თეატინელების წინამძღვარი მამა პიეტრო ავიტაბილე ინდოეთიდან დაბრუნდა და ავგუსტინელი მამები ჩამოიყვანა მისიონში სამსახურებლად. ამბროსიოს ხელში აღმოჩნდა საკმაოდ დიდი თანხა, რომლითაც მან „ქალაქ გორის ბოლოს“ მიწის დიდი ნაკვეთი შეიძინა და მონასტრისა და ეკლესიის მშენებლობა წამოიწყო (ლამბერტი, 2020: 129). რადგან თეატინელ მამებს თავიანთი ეკლესია ჯერ დასრულებული არ ჰქონდათ, ისინი ავგუსტინელ მამათა ეკლესიაში ასრულებდნენ ღვთისმსახურებას (ლამბერტი, 2020: 179).

თეიმურაზ მეფე 1629 წელს პაპს სწერდა: „აი, უკვე ერთი წელია, რაც დედა ჩვენის მშრალი ძვალი, ე.ი. ჩვენი დედის სხეული, ანუ მისი ნაწილი, ღირსეულმა მამა ამბროსიო ავგუსტინელმა ქალაქ ისფაჰანიდან, სპარსეთის სამეფოს კარიდან, ჩვენს ქვეყანაში ჩამოიტანა. ამისათვის მადლობის ნიშნად მე იგი ავიყვანე ჩემი მფარველობის ქვეშ და აღმოვუჩინე მოწყალება, მივეცი

რა მას კერა და მიწა იმრიგად, რომ მან შეძლოს იცხოვროს და ააშენოს სახლი და ეკლესია...“ (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 93). ამბროსიომ თავდაპირველად დროებითი პატარა სახლი და ეკლესია ააშენა. შემდგომ ინდოეთში გაგზავნა მორჩილი ძმა პეტრე, რომელმაც საჭირო ფული ჩამოიტანა. აგებული იქნა ეკლესია, რომელიც, როგორც მიქელ თამარაშვილი შენიშნავდა, „საქართველოში საუკეთესო ეკლესიად ითვლებოდა“ (თამარაშვილი, 1902: 103).

1630 წელს თეიმურაზ მეფემ დონ პიეტრო ავიტაბილე დიპლომატიური მისიით გაგზავნა რომში. მან იტალიის თეატინელთა მონასტრებში შეკრიბა მისიონერთა ჯგუფი და საქართველოში წამოიყვანა. 1632 წ. 10 ივლისს ისინი გორში მოვიდნენ (თამარაშვილი, 1902: 117). ამ ქალაქში იმდენად ბევრმა მისიონერმა მოიყარა თავი (15 თეატინელი და 2 ავგუსტინელი), რომ რომში განიზრახეს შეექმნათ მისიონერთა კონვენტი, რომელსაც მორიგეობით უხელმძღვანელებდნენ თეატინელი დონ პიეტრო ავიტაბილე და ავგუსტინელი ამბროსიო დუშ ანჟუში (ტაბაღუა, 1987:181).

ამბროსიოს მიერ ადრე, 1629 წლის აპრილში (Alonso, 1978: 246-247; Flannery, 2013: 221) გორიდან გაგზავნილმა წერილმა, რომელშიც მოთხრობილი იყო ქეთევან დედოფლის კათოლიკობაზე მოქცევის შესახებ, რომამდე მიაღწია 1630 წლის შუა ხანებში. მაგრამ მისმა შინაარსმა გავლენა ვერ იქონია პროპაგანდის პოზიციაზე, მით უმეტეს, რომ არავითარი დამატებითი მოწმობა დედოფლის კათოლიკობაზე მოქცევის შესახებ არ გამოჩენილა. ამიტომ რომიდან გამოგზავნილ საპასუხო წერილში დედოფალი ნახსენები არ არის (Alonso, 1978: 249; Flannery, 2013: 221).

პროპაგანდისათვის გაგზავნილ თავის მოხსენებაში პედრო დუშ სანტოში ამტკიცებდა, რომ ის და ამბროსიო ეხმარებოდნენ და ამშვიდებდნენ დედოფალ ქეთევანს, ისმენდნენ მის აღსარებას და ყველაფერს აკეთებდნენ მისი სულის გადასარჩენად. ეს მოხსენებები დამარხული და მივიწყებული იყო ვატიკანის არქივებში, აღნიშნავს ჯონ მ. ფლანერი, ვიდრე ტამარატმა (მიქელ თამარაშვილი) არ მიაგნო ამბროსიოს 1640 წლის ანგარიშს დედოფლის წამების შესახებ, ხოლო კარლოს ალონსომ (Alonso) არ გამოაქვეყნა პედრო დუშ ანჟუსის მოკლე მოხსენებები (Relacioni) 1962 წელს და ამბროსიო დუშ ანჟუსის 1640 წლის ანგარიში 1965 წელს. სრულიად გასაგებია, რომ ამბროსიო დუშ ანჟუსსა და სხვებსაც, ვინც ქეთევან დედოფალს იცნობდნენ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ავგუსტინელთა ორდენის წარმომადგენლებს, ქეთევან წამებული ღირსად მიაჩნდათ, ჩარიცხული ყოფილიყო რომის ეკლესიის წმინდანთა კალენდარში (Flannery, 2013: 222)

მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამბროსიოს „ნამდვილ ცნობებში“, არ აისახა მისი აღიარება და საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის დასახელებული თხზულება კვლავ მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. ამიტომ იყო, რომ რ. გულბენკიანი შემდეგში კვლავ დაუბრუნდა ამბროსიოს თხზულებას: „მამა ამბროსიო ბოლომდე არ ამჟღავნებს თავის მიზანს, მაგრამ უეჭველია, რომ შეგნებულად მოგვითხრობს იმას, რაც დედოფლის წმინდანთა თანაშერაცხვასა და კანონიზაციისათვის სჭირდება. ცდილობს დაადგინოს დედოფლის წმინდანობა, ცხადყოს მისი გმირული თუ თეოლოგიური სათნოება, იმედი და გულმოწყალება, გონიერება, სამართლიანობა, სიმამაცე და თავდაჭერილობა“ (გულბენკიანი, 1987: 64). დავუბრუნდეთ ავგუსტინელების მცდელობას გამოეცხადებინათ ქეთევან დედოფალი

კათოლიკედ წამებულად. საინტერესოა გაირკვეს, რა მოტივი ამოძრავებდათ ავგუსტინელებს, იმის შემდეგაც კი, როდესაც მათ შეძლეს დაეარსებინათ მისიონი საქართველოში, როდესაც თვითონ გახდნენ მოწმენი იმისა, რომ ქეთევან დედოფალი ქართული ეკლესიის მიერ, ფაქტობრივად წმინდანად შერაცხული, დაიკრძალა ალავერდის ტაძარში. ამ აქტით ქართულმა ეკლესიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქეთევან დედოფალი მათ მიერ ქართული ეკლესიის წმინდანად შეირაცხა (Flannery, 2013: 224). ქეთევან დედოფლის კათოლიკურ საკურთხევლამდე ამაღლება შეიძლება განხილულ იქნას ავგუსტინელთა ამბიციად ქართული და რომის ეკლესიების გაერთიანების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯონ მ. ფლანერი გვთავაზობს ავგუსტინელების სხვა შესაძლებლობისკენ სწრაფვას: რომი არ იზიარებდა იმას, რაც დაჟინებული ჰქონდათ ავგუსტინელებს, რომ ყველა ქრისტიანი უნდა დამორჩილებოდა ავგუსტინელებს და ქრისტიანული მოწამეობა საკმარისი იქნებოდა მთელი ქრისტიანული თემის წმინდანად აღიარებისათვის (Flannery, 2013: 224).

არქანჯელო ლამბერტი გადმოგვცემს მამა ამბროსიოსთან დაკავშირებულ ერთ საინტერესო ამბავს: 1631 წელს თეიმურაზ მეფემ თავისი ასული დარეჯანი, ზურაბ არაგვის ერისთავის ნაცოლარი, იმერეთის უფლისწულ ალექსანდრეს მიათხოვა. თეატინელმა მამებმა განიზრახეს, მეფე თეიმურაზისთვის მიელოცათ ეს სასიხარულო მოვლენა. ლამბერტიმ და სხვა მისიონერებმა მამა ამბროსი გაიყოლეს. ისინი დიდი წვალების შემდეგ საფურცლეს (სოფ. ნატახტარი) მახლობლად მეფეს ეახლნენ და წმ. ნიკოლოზის ძვლებიდან გადმოსული მანანი (მირონი) მიართვეს, რომლითაც უამრავი სნეული იკურნებოდა. მეფე სკეპტიკურად განეწყო ამ სამკურნალო საშუალების მიმართ და მისი გამოცდა მოინდომა. მან იცოდა, რომ მამა ამბროსიო მალარიისგან იტანჯებოდა, ისიც იცოდა, რომ იმ დღეს მას შეტევა უნდა ჰქონოდა. მეფემ მამა ჯაკომო დი სტეფანოს დაავალა, მირონი მამა ამბროსიოზე გამოეცადათ. თუ ამბროსიოს მანანი განკურნავდა, მაშინ მეფე მამების სიტყვებსაც დაიჯერებდა, რომ მანანი მართლაც წმ. ნიკოლოზისა იყო, თუ არა, თქვენს აღარაფერს ვიწამებო, განაცხადა თეიმურაზმა. იმ ღამეს მამა ამბროსიოს შეტევა აღარ გაუმეორდა, რამაც ყველა გააოცა (ლამბერტი, 2020: 183-184).

მაშინ, როდესაც გორში შავი ჭირი მძვინვარებდა, გორელი ავგუსტინელების პრიორი (წინამძღვარი) ამბროსიო დუშ ანჟუში ნახჭევანში კათოლიკე ეპისკოპოსთან იმყოფებოდა, საიდანაც მან გორში თავისი მონასტრის მეთვალყურედ გამოგზავნა ორი დომინიკანელი სომეხი ბერი – მღვდელი და ნოვიციატი (მორჩილი ძმა) (ავიტაბილე, 1977: 31). 1637 წლის მარტში ამბროსიო, რომელიც ჯერ ისევ ნახჭევანში იმყოფებოდა, მის შესახებ მოგვითხრობს იმავე წლის 7 მარტს ცნობილი გერმანელი მოგზაური ადამ ოლეარიუსი. როგორც ჩანს, შემდეგში ამბროსიო დუშ სანტოში კვლავ გორში დაბრუნდა.

* * *

მამა ამბროსიო დუშ ანჟუსის, როგორც თვითმხილველის ცნობებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქეთევან წამებულის ცხოვრებისა და სარწმუნოებისათვის თავგანწირვის შესასწავლად. ისინი თავმოყრილია მამა ამბროსიოს მიერ სპეციალურად დაწერილ ნაშრომში

(Ambrosio, 1624; გულბენკიანი, 1987: 35), რომელიც, როგორც ითქვა, გათვალისწინებული იყო რომში წარსადგენად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ამბროსიო დუშ ანჟუსი იყო ის უცხოელთაგანი, რომელმაც დაგვიტოვა ქეთევან დედოფლის გარეგნობის აღწერა (ასეთი რამ არ გაგვაჩნია ქართულ წყაროებში), რასაც ერთხელ კიდევ გავიმეორებ: „ეს ღვთისმოსავი ქალბატონი ტანდაბალი გახლდათ, დაახლოებით, ორმოცი წლისა უნდა ყოფილიყო, ხელთ მლოცველის ჯოხი ეპყრა. ქვრივივით შავად მოსილს, თავკისერიც მოშავო საბურველით დაეფარა. მეტად პირმშვენიერი და უაღრესად დარბაისელი, არა მარტო სამეფოს, არამედ მთელი სუვერენული იმპერიის დედოფლობის ღირსი იყო. არაჩვეულებრივად წმინდა და სასიამოვნო, განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა ყველას, ვინც ერთხელ მაინც იხილავდა, მის ლამაზ, დიდ შავი თვალებს, რომლებიც ირეკლავდნენ იმას, რაც მის სულში ხდებოდა, რამეთუ ღვთის მსახურთა ღვთიური მადლი მათ სახეზედაც გამოანათებს ხოლმე“ (გულბენკიანი, 1987: 35; მამისთვალიშვილი, 2022: 141-142).

შაჰ აბასმა, როდესაც დიდი ჯარით კახეთის სამეფოს საზღვარს მიუახლოვდა, განჯიდან თეიმურაზ მეფეს მძევლების მოთხოვნა გაუგზავნა. მეფემ სამეფოს უხუცესთა საბჭო მოიწვია და მოახსენა იმ უბედურების შესახებ, რომელიც მის ქვეყანას ემუქრებოდა და რომ სასწრაფო ზომების გატარება იყო საჭირო. საბჭომ შაჰთან ელჩის გაგზავნა გადაწყვიტა. ელჩად უნდა შეერჩიათ ისეთი პიროვნება, რომელიც შაჰ აბას I-თან მოლაპარაკებით საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის მშვიდობასა და კეთილგანწყობას მიაღწევდა. საბჭომ ერთხმად დაასახელა მეფის დედა – ქეთევან დედოფალი, რომელსაც გააყოლეს ორი შვილიშვილი (სინამდვილეში, დედოფალს პირველად გააყოლეს უმცროსი – ლევანი, შემდეგ კი, უფროსი ალექსანდრე გაუგზავნეს) – თეიმურაზის ვაჟები. როგორც ამბროსიო დუშ ანჟუსი აღნიშნავდა, დედოფალი უყოყმანოდ დათანხმდა ყოფილიყო თავისი ქვეყნის ელჩი შაჰ აბასთან (გულბენკიანი, 1987: 27).

გვაქვს ქეთევან წამებულის აღსასრულის დროისათვის მისი ასაკის განმსაზღვრელი რამდენიმე თარიღი, რომელთაგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამბროსიოს მიერ შემოთავაზებულ, დაახლოებით 40 წელს (მამისთვალიშვილი, 2022: 143).

პიეტრო დელა ვალეს მიერ ქეთევან დედოფლის მღვდელმსახურის უარყოფითი დახასიათებისგან (Pietro della Valle, II, 1843: 393) სრულიად განსხვავებული, დადებითი დახასიათება დაგვიტოვა ამბროსიო დუშ ანჟუშმა (გულბენკიანი, 1987: 31). მაგრამ ძნელია დამატებითი ცნობების უქონლობის გამო, რაიმე გარკვეულის თქმა, რომლის, იტალიელისა თუ პორტუგალიელის, მონათხრობს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა.

საეჭვოდ მიმაჩნია ამბროზიო დუშ ანჟუშის ის მონათხრობი, რომ ის და სხვა ავგუსტინელი ბერები დედოფალს სახლში ეწვივნენ, დედოფალმა ისინი თავაზიანად მიიღო და დიდად ნასიამოვნები და გახარებული დარჩა. როგორც ამბროსიო ამბობს, ამის შემდეგ მისიონერები ხშირად დაიარებოდა მასთან, ესაუბრებოდა კათოლიკური ეკლესიის საკითხებზე და უყვებოდა რომის პაპის დიდ პიროვნებაზე. ყოველივე ამას დედოფალი ისმენდა და ღებულობდა დიდი სიხარულით (მამისთვალიშვილი, 2022: 157-159).

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ამბროსიო დუშ ანჟუსმა თვითონვე უარყო ავგუსტინელების მთავარი კოზირები ქეთევან დედოფლის კათოლიკედ შერაცხვისათვის და

აღიარა, რომ ქეთევან დედოფალი მამაკაცებს არ ხვდებოდა (Gulbenkian, 1982: 68; არაქელ დავრიჟეცი, 1974: 42-43). აუცილებლად უნდა გავიხსენოთ პიეტრო დელა ვალეს მონათხრობი, საიდანაც ჩანს, რომ მას დიდი სურვილი ჰქონდა პირადად გაეცნო შირაზში მყოფი დედოფალი, მაგრამ უარი მიიღო, დედოფალმა თავისთან მიიწვია მხოლოდ თავისი თანამემამულე, დელა ვალეს ოჯახში თავშეფარებული და აღზრდილი მარიუჩა (თინათინ დი ზიბა, შემდგში ვალეს მეორე ცოლი), რომელიც ხშირად ნახულობდა დედოფალს (Valle II, 1843: 374). უნდა გავიხსენოთ, აგრეთვე, სომეხი ისტორიკოსის, არაქელ დავრიჟეცის მონათხრობი ქეთევან დედოფლისა და მასზე და მის ახლობლებზე მოამაგე იმამყული-ხანის დიალოგის შესახებ, როდესაც ხანი ღია კარის უკან იდგა, დედოფალს ვერ ხედავდა და შაჰის ბრძანებას ისე მოახსენებდა (დავრიჟეცი, 1974: 42-43).

ამბროსიო დუშ ანჟუსმა რომში ყოფნის დროს, 1640 წელს, სცადა ბოლო მოეღო საკამათო საკითხისათვის – აღიარა თუ არა ქეთევან დედოფალმა კათოლიკობა. ამბროზიომ პირდაპირ განაცხადა, რომ სინამდვილეში ქეთევანს არასოდეს დაუტოვებია ქართული ეკლესია. ამისდა მიუხედავად, ამბროსიოს თქმით, „უნდა დავიჯეროთ, რომ ეს დედოფალი ეხლა ზეცაში იმყოფება და უფლის დიდებით ხარობს, მიუხედავად იმისა, რომ ის განეკუთვნებოდა ბერძნულ წესს (მართლმადიდებლობას – ე.მ.), მაგრამ მაინც ამჟღავნებდა წმინდა კათოლიკური ეკლესიისადმი ერთგულებას და ძლიერ სიყვარულს ყველა ლათინის მიმართ და ეხმარებოდა მათ, რაც მის ძალებში იყო. ის ყოველთვის ისეთ კარგ ურთიერთობაში იყო ჩვენთან, რომ არ შეეძლო რაიმე ჩაედინა წმინდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ“ (Alonso, 1978: 271; Flannery, 2013, 222). ამბროსიოს ამ აღიარებას იცნობდა პატრი მიქელ თამარაშვილი და იგი არა მხოლოდ დაიმოწმა, არამედ მისი ფრანგული თარგმანიც გამოაქვეყნა თავის წიგნში (Tamarati, 1912: 484-485). მიუხედავად ამისა, ის მაინც წერდა: „ბოლო დროებში ქეთევან დედოფალს კარმელიტანების წესის პატრები ეწეოდნენ სულიერად და მათი ჩაგონებით გამხნევებული კათოლიკედ აღესრულაო“ (თამარაშვილი, 1902: 88), რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა. ამბროსიოს მოხსენებითი ბარათის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ინგლისურ ენაზე 1956 წელს გამოაქვეყნა დევიდ ლენგმა (Lang, 1956: 171-172); 1973 წელს ნინო სალიამ ფრანგულ ენაზე (Salia, 1973: 64-70), შემდეგ წელს კი, ილია ტაბაღუამ ქართულ ენაზე (ტაბაღუა, 1974: 3-15)

* * *

უკვე აღინიშნა, რომ ქეთევან დედოფლის მოწამებრივმა სიკვდილმა და მისი ნეშტის მოძიებამ, ავგუსტინელების ორდენს საქართველოში მისიონის დაფუძნების საშუალება მისცა. ისინი დასახლდნენ გორში. თვრამეტი დღის შემდეგ ამბროსიომ გოაში გაგზავნა პედრო დუშ სანტოში, რომელმაც ჩამოიტანა ინდოეთის ვიცე-მეფისა და გოას არქიეპისკოპოსის ოფიციალური პასუხები მისიონერების წერილებზე, რომლებითაც ისინი მოითხოვდნენ ავგუსტინელთა ორდენის მისიონერების დამატებით გაგზავნას გორის მისიონისათვის და ფინანსურ მხარდაჭერას. ისინი მოითხოვდნენ დახმარებას არა მხოლოდ გორის მისიონისათვის, არამედ ჩაფიქრებული ჰქონდათ საქართველოს სამივე სამეფოს – ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოების სხვადასხვა ადგილებში მისიონების დაარსებისათვის მხარდაჭერას.

პედრო დუშ სანტოში გოაში თავის ხუთთვიანი მოგზაურობის აღწერაში ლაპარაკობს მცხეთაში, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ზაქარია ჯორჯაძის (1623-1632) რეზიდენციაში ვიზიტის შესახებ. კათალიკოს-პატრიარქმა დაარწმუნა მისიონერი, რომ, თუ თეიმურაზ მეფე არ შეასრულებდა თავის დაპირებას და არ დაეხმარებოდა ამბროსიო დუშ ანჟუსს, მაშინ თვითონ დაეხმარებოდა მისიონერების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კათალიკოს-პატრიარქმა გოაში მიმავალ პედრო დუშ სანტუშს ურჩია, გვერდი აევლო ერევნისათვის, რადგან ელოდებოდნენ სპარსეთ-ოსმალეთის ჯარების საბრძოლო დაპირისპირებას იმ მხარეში. მისიონერმა არ შეისმინა ქართველი პატრიარქის რჩევა და მაინც ეწვია სომხეთის პატრიარქს. ამ უკანასკნელმა შეშფოთება გამოთქვა, იმის გამო, რომ ამბროსიო საქართველოში დარჩა და გოაში არ დაბრუნდა (Flannery, 2013: 225-226). ამ დროისათვის ერევანში და, საერთოდ, სომხეთის სახანოში, ავგუსტინელები საკმაოდ ფეხმოკიდებულნი იყვნენ. ერევანში იმყოფებოდა სომხეთის ავგუსტინელების გენერალური ვიკარი, რომელიც განაგებდა მისიონერების საქმეებს სამხრეთ კავკასიაში. როგორც ჩანს, სომხეთის პატრიარქსა და აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქებს უთანხმოება ჰქონდათ ავგუსტინელების საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებით. სომხეთის პატრიარქი მხარს არ უჭერდა ავგუსტინელი მისიონერების შემოსვლას საქართველოში.

* * *

1628 წლის 1 დეკემბერს გოაში ჩავიდა და ავგუსტინელთა კაპიტულს წარუდგინა ანგარიში საქართველოს მისიონის შესახებ, გადასცა თეიმურაზ მეფისა და აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქის, ზაქარიას წერილები. უნდა ვიფიქროთ, რომ წერილებში ავგუსტინელი მისიონერების კარგი დახასიათება იყო მათი ხელმძღვანელობის წინაშე. ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმავე წერილებში აღნიშნული საფარ ფაშასადმი რეკომენდაცია შეეწირა მისინერებისათვის გარკვეული თანხა. პედრო დუშ სანტუშმა კაპიტულს მიართვა თავისი მოგზაურობის აღწერა გორიდან გოამდე (Flannery, 2013: 227).

ისინი, ვინც გოაში გორის მისიონის დასახმარებლად მნიშვნელოვანი ფულადი შესაწირავები გაიღეს, იყვნენ ავგუსტინელები: ლუის დე ბრიტო, ინდოეთის მაშინდელი ვიცე-მეფე, ესტადო და ინდია (1628-1629), ანტონიო დე მორაესი და გოას არქიეპისკოპოსი სებასტიანო დე სანიო პედრო. ფულადი შესაწირი გაიღო სამხრეთ საქართველოს ნაცვალმა, რომელიც დიდ მოგებას იღებდა დარიჩინით ვაჭრობით მასკატში (ომანის მთავარი ქალაქი), მანვე გაატანა პედრო დუშ სანტუშს ორი ბეჭედი – ერთი საფირონისა პატრიარქისთვის, მეორე კი ბრილიანტებითა და ლალით შემკული მეფე თეიმურაზისთვის. (Flannery, 2013: 228). 1507-1650 წლებში პორტუგალია დომინირებდა მასკატის, ომანის ამ უმნიშვნელოვანეს საპორტო და სავაჭრო ქალაქში, რომელოც მდებარეობდა სპარსეთის ყურეში. 1581-1888 წლებში ოსმალეთის იმპერიამ დაიკავა მასკატი. თუმცა არც პორტუგალიელები და არც ოსმალები აკონტროლებდნენ ომანს მთლიანად. XVII საუკუნის შუა ხანებში ომანურმა ტომებმა იმამის ხელმძღვანელობით განდევნეს პორტუგალიელები მასკატიდან. ომანისა და მასკატის ეს მოკლე ისტორია იმისთვის გავიხსენე, რათა გავარკვიოთ ვინ უნდა ყოფილიყო სამხრეთ საქართველოში ოსმალეთის იმპერიის ის ქართველი ნაცვალი, რომელმაც ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა მეფე თეიმურაზ I-სა და კათალიკოს ზაქარია ჯორჯაძეს (1623-1632). აღნიშნულ პერიოდში სამხრეთ საქართველოს

„ნაცვალი“ უნდა ყოფილიყო ჯაყელი ათაბაგების შთამომავალი ბექა III (საფარ-ფაშა, 1628-1651) (სვანიძე, 1971: 300-303). ის, როგორც იმპერიის მოხელე, სამსახურებრივად და კომერციული საქმიანობითაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მასკატთან.

თურქი მოგზაური და ისტორიკოსი ევლია ჩელები საფარ-ფაშას ახალციხეში შეხვდა და შემდეგნაირად დაახასიათა: ახლციხის... ხალხი ჯანიანი, მამაცი და სახელოვანია. განსაკუთრებით – ვალი ვეზირი საფარ-ფაშა; წარმოშობით ქართველი, გულადი, უნარიანი, მოასპარეზე ადამიანი იყო ...“ (ევლია ჩელები, 1971: 301).

როგორც ითქვა, პედრო დუშ სანტუშმა გოაში ჩაიტანა და ავგუსტინელთა კაპიტულს გადასცა თეიმურაზ მეფისა და აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქის, ზაქარიას წერილები. უნდა ვიფიქროთ, რომ გოადან საქართველოსკენ გამობრუნებულმა პედრო დუშ სანტუშმა ინდოეთში მიღებული დავალების მიხედვით, სპაციალურად გაიარა მასკატში მდიდარ ქართველ საფარ-ფაშას მოსანახულებლად, რომლისგანაც ქართველი მეფისა და კათალიკოსის რეკომენდაციით გორის მისიონისათვის მნიშვნელოვანი შესაწირის მიღების იმედი ჰქონდა. ფაშამ ფული შესწირა მისიონს, ხოლო კათალიკოსსა და მეფეს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა. როგორც ჩანს გამუსლიმანებული საფარ-ფაშა ურთიერთობას ინარჩუნებდა მართლმადიდებელ მეფესა და კათალიკოსთან და კათოლიკე (ავგუსტინელ) ბერებთან და მათ ხელმძღვანელობასთან, რომლის ცენტრი ქალაქი ინდოეთში, გოა იყო.

გორის ავგუსტინელთა მისიონს სხვადასხვა საგანი აჩუქეს გოას სამოქალაქო და საეკლესიო სტრუქტურებმა: სანტა მონიკას მონასტერმა, ანონიმმა შემწირველებმა – საათები, ავეჯის საგნები და კულტის მსახურებისათვის ინვენტარი. მისიონერებმა გორში წამოიღეს, აგრეთვე, წერილები თეიმურაზისა და პატრიარქ ზაქარიასთვის. 1629 წლის 14 მარტს ისინი გოადან ჩავიდნენ მასკატის პორტში, შემდეგ ისპაჰანში. საქართველოს მისიონისათვის გოადან წამოყვანილი მისიონერები – სებასტიანო დე ხესუსი, მანუელ დუშ ანჟუსი და ანტონიო დუშ შაგასი დაავადდნენ. მხოლოდ 1629 წლის 8 დეკემბერს ანტონიო დე სან ვისენტემ და დაუცხრომელმა პედრო დუშ სანტუშმა მიაღწიეს გორამდე (Flannery, 2013: 228).

ფულმა და სურსათ-სანოვაგემ დროულად მიუსწრო ავგუსტინელ ამბროსიო დუშ ანჟუსსა და თეატინელ მისიონერებს, რომელთა მდგომარეობა სრულიად გასაგებია, როდესაც ვკითხულობთ, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ ეჭამათ ველური ბალახები, რომლებსაც აგემებდნენ მარილითა და ზეითუნის ზეთით. იმავე დღის საღამოს თეიმურაზმა კარგად მიიღო გოადან ჩამოსული მისიონერები. მათ, ვიზიტის დროს, წესის მიხედვით, მეფეს მიართვეს ინდოეთიდან ჩამოტანილი საჩუქრები. გავრცელდა ხმა, რომ მისიონერებმა ინდოეთიდან დიდი სიმდიდრე ჩამოიტანესო, რამაც გორის გაჭირვებულ მოსახლეობაში წარმოშვა შური გამდიდრებული მისიონერებისადმი (Flannery, 2013: 228).

ავგუსტინელებმა სურსათ-სანოვაგე გაუნაწილეს თეატინელებს და კრედიტორებს გაუსწორდნენ. მათ ქალაქის განაპირას შეიძინეს საუკეთესო მიწის ნაკვეთი და დაიწყეს ევროპული სტილის მონასტრის მშენებლობა ოთხი სენაკითა და ეკლესიით. მაგრამ ავგუსტინელების იმედები საქართველოში არ გამართლდა.

* * *

შედარებით ვრცლად უნდა აღინიშნოს ამბროსიო დუშ ანჟუსის საყურადღებო მონათხრობზე, რომელშიც აისახა ქართლ-კახეთის სამეფოში თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების შესახებ, რომლის უარყოფითი გავლენა შეეხო მისიონერებსაც. ამიტომ გახდა ეს ფაქტი თეატინელების პრიორის, დონ პიეტრო ავიტაბილესათვის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ საჭიროდ ჩათვალა, როდესაც რომიდან საქართველოში ბრუნდებოდა, საქართველოში მიმდინარე ამბებით დაინტერესებული პიეტრო დელა ვალესათვის ეცნობებინა ალეპოდან რომში გაგზავნილი წერილით, რომელიც დათარიღებულია 1632 წლის 24 თებერვლით (Andreu, 1951: 120). ამ დროს ავიტაბილე ბრუნდება რომიდან საქართველოში, სადაც იმოგზაურა მისიონის საქმეების მოსაგვარებლად და მეფე თეიმურაზის დიპლომატიური დავალებით. თეიმურაზმა აღნიშნული ელჩობა რომში გაგზავნა 1630 წლის აგვისტოში პიეტრო ავიტაბილეს ხელმძღვანელობით. მეფემ მას გაატანა თავისი და კათალოკოს ზაქარიას წერილები, რომლის ადრესატები იყვნენ რომის პაპი და კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალები.

ავიტაბილეს ალეპოში გაუგია, რომ თეიმურაზის ამბოხებულმა სიძემ, ზურაბ ბეგმა, მოკლა თბილისის პროვინციის ბატონი სვიმონ-ხან სპარსელი, რასაც სერიოზული გამოძახილი ჰქონდა, როგორც საქართველოში, ისე სპარსეთში.

სვიმონ II, ანუ სვიმონ-ხანი (1619-1630/1631), სპარსეთში გაიზარდა. მისი მამა იყო ბაგრატ VII (ბაგრატ-ხანი, 1616-1619). მცირეწლოვანი სვიმონ II შაჰ აბასმა ქართლის ხანად დანიშნა და მრჩეველად გიორგი სააკაძე გაუმწესა. მისი ხელისუფლება მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. „ქართლი და კახეთი ბატონს თეიმურაზს ეჭირა“ (გორგიჯანიძე, 2022: 303), მაგრამ თბილისი და მისი მხარე, როგორც ითქვა სვიმონ-ხანს ეკავა. თეიმურაზი ასეთ მდგომარეობას ვერ ეგუებოდა. სვიმონ-ხანისა და ზურაბ არაგვის ერისთავისადმი თეიმურაზ მეფის დამოკიდებულებას და მათ აღსასრულს მამა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე უაღრესად ლაკონურად აცნობებდა დონ პიეტრო დელა ვალეს 1631 წლის 16 ნოემბერს გორიდან გაგზავ-ნილი წერილით[1]: „მეფემ [თეიმურაზმა] სპარსეთის მეფისაგან მიიღო ზურაბ-ხანის მიერ მოკლული სიმონ-ხანის მთელი ქონება, ზურაბ-ხანი კი [სინამდვილეში] მოკლა თეიმურაზმა“ (Andreu, 1951: 118).

თეატინელი დონ ჯაკომო და სტეფანო გორიდან გაგზავნილი წერილით რომში აცნობებდა, რომ ზურაბ ერისთავმა ქართლის გამგებელ სიმონ-ხანთან შეთანხმებით ამბოხება მოაწყო და მაშინ, როცა თეიმურაზი კახეთში იმყოფებოდა, გორი გაძარცვა. მან მხოლოდ თეატინელები დაინდო. სიმონ-ხანი თეიმურაზის ერთგული ამილახვრის სამფლობელოში შეიჭრა და დაიპყრო. თეიმურაზისაგან წაქეზებულმა ზურაბმა არც სიმონ-ხანს უერთგულა და მოკლა (Ferro, 1704: 120; ტაბაღუა, 1987: 136; ნარკვევები, 1972: IV, 292). თეიმურაზმა დარეჯანი კვლავ გორში მოიყვანა და იმერეთის უფლისწულ ალექსანდრეზე გაათხოვა (გორგიჯანიძე, 2022: 302).

იმავე ამბავს შედარებით ვრცლად დონ პიეტრო ავიტაბილე პიეტრო დელა ვალეს ალეპოდან აცნობებდა 1632 წლის 24 თებერვალს: „ზოგიერთი ვაჭრისგან გავიგე საქართველოს სახელმწიფოს შესახებ, თუ მათ სინამდვილე მითხრეს. ამბობენ, რომ თეიმურაზის ამბოხებულმა სიძემ სახელად ზურაბბეგმა, გადმოცემის მიხედვით, მოკლა თბილისის პროვინციის ბატონი სვიმონ-ხან სპარსელი. საქართველოდან ჩემ გამგზავრებამდე ცოტა ხნით

[1] ეს წერილი არ არის ბატონ ბეჟან გიორგაძის მიერ გამოქვეყნებულ ჯუდიჩეს წერილწებში (ჯუდიჩე, 1964).

ადრე, ის ფლობდა ქართლის (Carteli) პროვინციას, რომელიც სიმამრს [თეიმურაზ მეფეს] წაართვა და თბილისისა და ქართლის ბატონი გახდა. ეს რომ ჩაიდინა, მე ვევედრებოდი თავის სიმამრს [თეიმურაზს] დახმარებოდა და ერთად წასულიყვნენ სპარსელების წინააღმდეგ. მაგრამ კეთილმა თეიმურაზმა შაჰის საამებლად მოკლა სიძე. [თეიმურაზი] გახდა არა მხოლოდ ქართლისა და კახეთის ბატონი, ადრინდელივით, არამედ მისი გახდა თბილისიც. მაგრამ არ ვიცი ეხლაც ფლობს თუ არა, შეიძლება შაჰმა უწყალობა, ან ჩამოართვა როგორც თავის მტერს“ (Francesko Andreu, 1951: 120).

ამბროსიო დუშ ანჟუსის გადმოცემით, 1630 წლის მაისში თეიმურაზს აუჯანყდა ორი თავადი. მათ კახეთი დაიკავეს და თავრიზის ხანს გადასცეს, უნდოდათ, რომ შაჰ სეფის სახელით ემართათ იგი (Flannery, 2013: 228-229). ესენი უნდა ყოფილიყვნენ ზურაბ ერისთავის ის მომხრეები, რომლებსაც ერთგულება დაუფასა და გორის გაძარცვის უფლება მისცა. როგორც დონ პიეტრო ავიტაბილე მოგვითხრობს, აჯანყებულთა ერთმა ჯგუფმა ავგუსტინელებს წაართვა ყველაფერი, რის წაღებაც შეძლეს: ფული, ტანსაცმელი, წმინდა ჭურჭელი და პირუტყვი. ისინი ასევე მოეპყრნენ თეატინელ მისიონერებს, ქართველ პატრიარქსა და იმ ბერძენ ბერებს, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ იერუსალიმის წმინდა ადგილებისათვის მოწყალების შესაგროვებლად (Andreu, 1951: 229). შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, ამის შესახებ მისიონერების რელაციებზე დაყრდნობით, წერს XVII საუკუნის იტალიელი (ფერარელი) ისტორიკოსი ბართოლომეო ფერო (Ferro, 1704). გორის მოსახლეობასთან ერთად დაზარალდნენ ავგუსტინელი მისიონერები. მათ იცოდნენ ვის ემორჩილებოდნენ თავდასხმელები და ზურაბ ერისთავთან გაგზავნეს თეატინელი მისიონერი ჯაკომო დი სტეფანო, რომელიც, არქანჯელო ლამბერტის დახასიათებით, ორატორული ნიჭით გამოირჩეოდა (ლამბერტი, 2020: 271). ბართოლემეო ფერო იმასაც მოგვითხრობს რაც გამხდარა მიზეზი ზურაბ ერისთავის მიერ სვიმონ II-ის მოკვლისა (ნატროშვილი, 1991: 324-326). სამეგრელოდან იერუსალიმს მიმავალმა ალავერდელმა ზებედემ (ზებედეს შესახებ იხ. მამისთვალიშვილი, 2008: 47-53) ზურაბ არაგვის ერისთავს უსაყვედურა, რომ დაუშვებელი იყო ქრისტიანულ ქვეყანაში მუსლიმანი მეფის ყოფნა. სინამდვილეში რა იყო ერისთავის მიერ მეფის მოკვლის მიზეზი, ამის გასარკვევად უფრო სარწმუნო მიზეზები შემოგვთავაზა პიეტრო ავიტაბილემ, რომლებსაც ზემოთ უკვე გავეცანით.

ჯაკომო დი სტეფანო ზურაბ ერისთავის სარეზიდენციო დუშეთში ჩავიდა. ერისთავმა სტუმარი დიდი პატივისცემით მიიღო. მან ჯაკომოს განუცხადა, რომ კარგად ხვდებოდა მისი ვიზიტის მიზანს, მაგრამ არ შეეძლო დახმარება, რადგან ის, რაც მისმა მეომრებმა მისინერებს წაართვეს უკვე ერთმანეთში გაინაწილეს, შენი რომ იყოს, ე. ი. ღარიბი თეატინელების, მაშინვე დაგიბრუნებდით, მაგრამ ის ქონება მდიდარი ხალხისაა და ისინი მალე შესძლებენ დანაკარგის ანაზღაურებას ინდოეთიდან გამოგზავნილი ფულითო. როგორც ჩანს ზურაბ ერისთავმაც იცოდა, რომ ავგუსტინელები მალე მიიღებდნენ დანაპირებ ფულს. ჯაკომომ შეძლო ერისთავის დარწმუნება, რომ ავგუსტინელებისთვის წართმეული ქონება ღმერთს ეკუთვნის და, „რაც არის ღვთისა, უნდა დაუბრუნდეს ღმერთს!“ ამის შემდეგ ზურაბ ერისთავმა მოატანინა მისიონერების ქონება, გადაარჩიეს მხოლოდ ღვთისმასუხურებისათვის აუცილებელი ჭურჭელი და ჯაკომოს გადასცეს.

* * *

დაახლოებით, სამი თვის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა თეიმურაზ მეფის სასარგებლოდ. მამა ჯაკომო ჯუდიჩე 1631 წლის 16 ნოემბერს პიეტრო დელა ვალეს სწერდა: „[თეიმურაზის] სამეფოში ყოველდღიურად მატულობს [დაბრუნებული] მოსახლეობა. მეფემ სპარსეთის მეფისგან მიიღო ზურაბ-ხანის მიერ მოკლული სიმონ-ხანის მთელი ქონება, ზურაბ-ხანი კი [სინამდვილეში] მოკლა თეიმურაზმა; მოკლედ რომ ვთქვათ, ამჟამად [თეიმურაზი] ტკბება სრული მშვიდობით, და გურჯისტანის თითქმის ნახევარი მას უჭირავს. სპარსელმა [შაჰმა] თბილისის ხანი დანიშნა მაგრამ ციხის გარეშე“ (Andreu, 1951: 118). უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის ციხე შაჰმა მეფე თეიმურაზს გადასცა. მეფემ გაძარცულ პატრიარქ ზაქარიას დანაკარგი აუნაზღაურა. დახმარება არ გავრცელდა ავგუსტინელებზე. მათ შერჩათ ის მცირე თანხა, მხოლოდ 899 ესკუდო (პორტუგალიური ფულის ერთგეული), რომელიც პედრო დუშ სანტუშმა აჯანყებულთა თავდასხმამდე ნახანძრალ ფერფლში ჩამალა. მათი მდგომარეობა იმდენად აუტანელი შეიქმნა, რომ ერთი პირობა საქართველოს დატოვებას ფიქრობდნენ, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტეს, პედრო დუშ სანტოში ისევ გაეგზავნათ გოაში დახმარების სათხოვნელად, ხოლო ანტონიო დე სანტ ვისენტე გაემგზავრა რომსა და მადრიდში თეატინელი პიეტრო ავიტაბილეს თანხლებით. მისიისათვის დახმარების მოძიებასთან ერთად, თეიმურაზმა ავიტაბილეს დააკისრა თავისი დესპანობა პაპ ურბან მერვესთან. გორში თითო ორდენიდან თითო მისიონერი, თითოეულ მათგანთან კი, თითო ძმა-ერისკაცი დარჩა. მათ თავიანთი მოკრძალებული რესურსები გაიზიარეს და ერთად ცხოვრობდნენ ავგუსტინელების მონასტერში. როგორც ავიტაბილეს 1633 წლის 1 ოქტომბრის წერილიდან ჩანს, მას ორი ორდენის მისიონერების ერთად ცხოვრება, რომთან შეუთანხმებია (ავიტაბილე, 1977: 187).

დონ პიეტრო ავიტაბილე წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიაში გაგზავნილ თავის მოხსენებით ბარათში განსაკუთრებით აღნიშნავდა (1629 წლის 28 მარტი) ამბროსიო დუშ ანჟუსის მხარდაჭერას გორში ახლადჩასული თეატინი მისიონერებისადმი: „ჩვენს შესახვედრად მოვიდა მღვდელმსახური მორჩილი ძმა ამბროსიო წმინდა სარწმუნოების წმინდა ავგუსტინელთა ორდენიდან და აუწერელი სიხარულით გადაგვეხვია, წაგვიყვანა თავის სახლში, მიგვიღო ისეთი თავაზიანობითა და სიყვარულით, როგორის უნარიც შესწევს კაცთმოყვარეობით აღსავსე ბერებს“. ავიტაბილე აღტაცებული იყო, როგორი სიმშვიდით იტანდა ამბროსიო მძიმე ტვირთს, როგორ გულუხვად ამარაგებდა სტუმრებს ყველაფერი აუცილებლით. ავიტაბილე აღფრთოვანებული იყო, ასეთი შესანიშნავი მღვდელმთავარი რომ ჰყავდა სამოციქულო წმინდა ტახტს საქართველოში (ტაბაღუა, 1987: 222).

თეიმურაზ მეფის კარზე ამბროსიოს დიდი გავლენისა და პატივისცემის საჩვენებლად, ავიტაბილე მოგვითხრობს: როდესაც თეატინელები მეფესთან აუდიენციაზე წასვლას აპირებდნენ, ამბროსიომ მათ მოუყვანა ცხენები, მისცა გამყოლი და დაუწერა ისეთი მფარველობითი წერილი, რომელიც ძლიერ გამოადგათ მისიონერებს, რამდენადაც მეფე დიდ ანგარიშს უწევდა ამბროსიოს (Flannery, 2013: 223).

პროპაგანდა ფიდეს საერთო სხდომაზე, 1631 წლის 27 მარტს, გადაწყდა, რომ ეს ორგანიზაცია თავის თავზე აიღებდა პასუხისმგებლობას საქართველოში ავგუსტინელთა მისიონზე და ფინანსურ დახმარებასაც გაუწევდა (Flannery, 2013: 229).

1631 წლის მაისის ბოლოს ავიტაბილე რომიდან საქართველოსკენ გამოეშურა და გორის მისიონისთვის წამოიყვანა თავისი ორდენის ოთხი ახალი მისიონერი. ისინი გორში მოვიდნენ 1632 წლის 10 ივლისს. მათ განზრახული ჰქონდათ თეატინელების მისიონის დაარსება, რაც მალე სისრულეში მოიყვანეს. მაგრამ ორივე – ავგუსტინელებისა და თეატინელების მისიონი აღმოჩნდა დიდი საფრთხის წინაშე. როდესაც თეიმურაზ მეფემ გაიგო ავიტაბილეს ევროპიდან დაბრუნება, ივარაუდა, რომ ის დიდ სიმდიდრეს ჩამოიტანდა და მთელი ფული მოსთხოვა, რომელიც, სავარაუდოა, სჭირდებოდა იმ ორი სამეფო სასახლის აღსადგენად, რომლებიც აბას I-მა თბილისში დაანგრია. სხვათა შორის, ამ სასახლეების სარესტავრაციო სამუშაობისთვის მეფემ ავგუსტინელებსა და თეატინელებს მოსთხოვა დაეხმარებინათ თავიანთი ხუროები. როდესაც მეფეს მოახსენეს, რომ მისიონერებს ფული არ ჰქონდათ, რომ ისინი, საქართველოსკენ მომავალნი, სომხებმა გაძარცვეს არზრუმსა და გორს შორის, ამის შემდეგ განიზრახა თეატინელებისა და ავგუსტინელების მონასტრების გაყიდვა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისიონერები იტყუებოდნენ და ფულს მალავდნენ. მოგვიანებით მისიონერებმა შეძლეს მეფე დაერწმუნებინათ სომხების მიერ ჩადენილ ძარცვაში. ამბროსიო დუშ ანჟუსი ბრალს სდებდა არა მეფეს, არამედ ბერძნებს, რომლებმაც ის დაარწმუნეს, რომ მისიონერებს მთელი საქართველოს კათოლიციზმზე მოქცევა უნდოდათ, ამიტომ ისინი თავის სამეფოდან გაეძევებინა (Alonso, 1978: 232-233).

დონ პიეტრო ავიტაბილეს თეიმურაზ მეფეზე ბერძენი ბერების ზეგავლენა მიაჩნდა იმის მიზეზად, რომ მისიონერებმა ვერ შესძლეს მისი კათოლიკობაზე მოქცევა. „მიუხედავად იმისა, რომ (თეიმურაზს - ე.მ.) ზოგჯერ კეთილი განწყობა გამოუჩენია, ყოველ შემთხვევაში, მას ყურში მუდამ ბერძნები ჩასჩურჩულებდნენ, რის გამოც ყოყმანობდა და თავის (რელიგიურ-ე.მ.) შეხედულებაზე მაგრდებოდა“ (ავიტაბილე, 1977: 49).

როდესაც საქართველოში მოსული თეატინელი მისიონერები თეიმურაზ მეფეს ეახლნენ, ის უბრალო ტილოს სამოსელით იხილეს. თურმე, თეიმურაზი მისიონერებს ხშირად აღსარებასავით ეუბნებოდა, რომ მის სამეფოში მათი ყოფნის წყალობით ჰქონდა ასეთი ბედნიერება. ავიტაბილე ირონიულად შენიშნავდა: თეიმურაზმა „ღვთის წყალობის ატანა ვეღარ შეძლო... მას ძალიან ბევრი ველაპარაკეთ და ბევრი რამ გავუკეთეთ იმისათვის, რომ მას სქიზმა დაეტოვებინა და უწმინდეს სამოციქულო ტახტს შეერთებოდა“. მაგრამ იმავე მისიონერის აზრით ბერძნების მის საქმეში ჩარევის გამო, მათი მცდელობა თეიმურაზ მეფის კათოლიკობაზე მოქცევისათვის, ამაო იყო. საბოლოოდ სპარსეთის შაჰისგან დევნილი თეიმურაზი თავის სიძესთან იმერეთში გაიქცა (ავიტაბილე, 1977: 49).

1635 წლის 24 ნოემბერს, ალეპოდან რომში გაგზავნილ წერილში, რომლის ადრესატი პატრი დონ მატეო სანტო მანგო იყო, ავიტაბილე ჩამოთვლიდა იმ წყალობას, რომელსაც ღმერთი უგზავნიდა თეიმურაზ მეფეს, რაც მან ვერ შეიფერა და ამის გამო დაისაჯა. ავიტაბილეს თქმით, შაჰ-აბასმა სპარსეთის ახალ შაჰ სეფის დაუბარა, რომ თეიმურაზთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინა და „ჯილდოდ მისთვის მიეცა (დაებრუნებინა ე.მ.) საბარათიანო, რომელიც ერთ პროვინციად ითვლება, და აგრეთვე სომხითიც – ესეც მეორე პროვინციაა. გარდა ამისა, თეიმურაზთან რომ უკეთესი ურთიერთობა განემტკიცებინა, მას ცოლად ქალიშვილი სთხოვა, რისთვისაც გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები: პატიოსანი თვლები – მარგალიტი, ტოპაზი... და

სხვა ძვირფასეულობა“ (ავიტაბილე, 1977: 48-49). ავიტაბილე, როგორც ჩანს, ხაზს უსვამს შაჰ სეფის კეთილ ზრახვებს თეიმურაზის მიმართ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ჯეროვნად ვერ დააფასა, რის გამო ტახტი და სამეფო დაკარგა. მაგრამ ავიტაბილეს თეიმურაზის მთავარ შეცდომად და დანაშაულად ის მიაჩნდა, რომ მან კათოლიკობა არ აღიარა: „მას ძალიან ბევრი ველაპარაკეთ და ბევრი რამ გავუკეთეთ იმისათვის, რომ მას სქიზმა დაეტოვებინა და უწმინდეს სამოციქულო ტახტს შეერთებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ კეთილი განწყობილება გამოუჩენია, ყოველ შემთხვევაში, მას ყურში მუდამ ბერძნები ჩასჩურჩულებდნენ, რის გამოც ყოყმანობდა და თავის შეხედულებაზე მაგრდებოდა: ამიტომ ღმერთმა მას ეს მკაცრი სასჯელი გამოუნახა...“ (ავიტაბილე, 1977: 49).

ავგუსტინელი მისიონერები გრძნობდნენ, რომ თეიმურაზ მეფე მათ მიმართ გულგრილი გახდა, სამაგიეროდ, თეატინელები ძლიერდებოდნენ. პროპაგანდა ფიდეში გასაგები იყო, რომ ავგუსტინელთა საქართველოს მისიონს კრახი ემუქრებოდა, ამიტომ ამბროსიო დუშ ანჟუსს მისწერეს გამამხნევებელი წერილი და ორივე ორდენს მოუწოდეს გაეგრძელებინათ მუშაობა (Flannery, 2013: 233).

1633 წლის 18 თებერვალს, ოთხშაბათს დილის 5 საათზე გორში მოვიდა მაცნე, რომელმაც მოსახლეობას გააფრთხილა, რომ სპარსელების არმია ქართლის სამეფოში შემოვიდა და თავს უშველეთო. დონ ავიტაბილემ მამა ამბროსიო დუშ ანჟუსი და დონ ჯაკომო გაგზავნა საქართველოში შემოსულ სპარსულ ჯართან, მის სარდალ როსტომ-ხან სააკაძესა და ქართლის ვალად (გამგებელი) დანიშნულ როსტომ-ხან (ქაიხოსრო) ბაგრატიონთან შესახვედრად (Flannery, 2013: 233).

იმავე დილას თეატინი მამა დონ ჯაკომო და ავგუსტინელი ამბროსიო, რომელიც სულ ახალი ჩამოსული იყო ინდოეთიდან, სადაც მისი სახელი შეიტანეს მათს პროვინციალურ კაპიტულში, მიიღო ამ მონასტრის პრიორის პატენტი, „როგორც დამსახურებულმა იმ ტანჯვისათვის, რომელიც მან აქ, საქართველოში განიცადა“ (ტაბაღუა, 1987: 244-245). აღნიშნულ პერიოდში ამბროსიოს ინდოეთში ყოფნის შესახებ, სხვა ცნობას არ შევხვედრივარ.

თეატინელები ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდნენ. მათ ფული ისესხეს ავგუსტინელებისგან, რომლებიც თვითონაც გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ. სიტუაცია მძაფრდებოდა იმ ფაქტითაც, რომ, მართალია, პედრო დუშ სანტოში საქართველოს მისიონისადმი ერთგული სამსახურისთვის აყვანილი იქნა მღვდლის რანგში. მისი დამსახურება კათოლიკური რელიგიის წინაშე იხ. ამბროსის ზემოთციტირებული წერის დასასრულს (ხილი, 1991: 487). მაგრამ ვერ შეძლო თავისი დაწინაურების საბუთის ჩამოსატანად იმ გემს გაყოლოდა, რომელიც სპარსეთის ყურიდან გოაში მიემართებოდა. ავიტაბილემ გადაწყვიტა მდგომარეობის გამოსასწორებლად მიემართა განჯაში მყოფი დაუდ-ხან უნდილაძისათვის და სომხების მიერ მოპარული ფულის დაბრუნებაში დახმარება ეთხოვა. განჯაში გამგზავრებისას ავიტაბილეს თან ახლდა ამბროსიო დუშ ანჟუსი. მაგრამ ამ წამოწყებამ შედეგი ვერ გამოიღო (Flannery, 213: 233).

სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებული დაუდ-ხანისა და თეიმურაზის დასასჯელად და განჯის ჩამოსართმევად, შაჰ სეფიმ დიდი არმია გამოგზავნა საქართველოში როსტომ-ხანის სარდლობით. შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის უნარის არმქონე თეიმურაზმა იმერეთში თავის სიძესთან შეაფარა თავი, დაუდ-ხანი კი, ოსმალეთში გაიქცა (ავიტაბილე, 1977: 49).

როგორც ითქვა, მამა დონ ჯაკომო და მამა ამბროსიო გაეშურნენ ქართლში შემოსული სპარსელების შესახვედრად, მაგრამ როცა გაიგეს, რომ მტერი სამი დღის სავალი გზით იყვნენ დაშორებულნი გორიდან, იმავე საღამოს უკან დაბრუნდნენ. ამის შემდეგ გორელებმა რამდენიმე კაცი გაგზავნეს ჯარის წინამძღოლთან როსტომ ხან საკაძესთან. მათ ინახულეს ახალი მეფე როსტომი და მოახსენეს, რომ მათზე ადრე გორში მყოფმა ფრანკებმა უკვე სცადეს მასთან შეხვედრა. რა თქმა უნდა გორელების წარმომადგენლები გულისხმობდნენ მამა დონ ჯაკომოს და მამა ამბროსიო დუშ ანჟუსს. როსტომ მეფემ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პიროვნებას დაავალა, ჩასულიყო გორში და მისიონერებისათვის ეთქვა, რომ მეფისთვის დიდად სასიამოვნო იყო მის სამეფოშიც, ისევე როგორც ისფაჰანში, არიან ფრანკები. ამის შემდეგ მისიონერები ისევ გაეშურნენ როსტომ მეფესთან შესახვედრად, რომელმაც არა მხოლოდ თეიმურაზის მიერ ნაბოძები პრივილეგიები დაუმტკიცა, არამედ სხვაც ბევრი რამ უწყალობა (ტაბაღუა, 1987: 245).

როსტომ მეფემ ავგუსტინელებს წაართვა სამი ბიჭი, მაგრამ სამაგიეროდ დაპირდა, რომ სხვა ყმაწვილებს აჩუქებდა. მიუხედავად რამდენჯერმე შეხსენებისა, მან დაპირება არ შეასრულა (ტაბაღუა, 1987: 246). აქამომდე შესწავლილ მასალაში არ მინახავს როდის და ვინ მისცა ავგუსტინელებს დასახელებული ბიჭები.

როსტომ-ხანის საქართველოს გამგებლად დანიშვნა სასიხარულო უნდა ყოფილიყო გორში დარჩენილი სამი ავგუსტინელი მისიონერისათვის, რადგან ამბროსიო დუშ ანჟუსი როსტომ-ხანთან მეგობრობდა, ამ უკანასკნელის ისფაჰანის ტარუღად ყოფნის დროს. მაგრამ მამებს იმედი ვერ გაუმართლდათ. როსტომ-ხანმა მათი მონასტერი გამოიყენა სამხედრო ბაზად, ხოლო ვრცელ ხილის ბაღში განალაგა კავალერია. შენობა გამოიყენებოდა, აგრეთვე, როგორც გორში მდგომი ჯარის სამხედრო მომარაგების ცენტრი, ხოლო როსტომ-ხანის ბანაკში არყოფნის დროს იქ მოთავსებული იყო მისი ჰარემი. ავგუსტინელებისა და თეატინელების ეკლესიები ღია იყო ღვთისმსახურებისათვის, ხოლო ქართველებისა და სომხების ეკლესიები, შესაბამისად, მეჩეთად და საწყობად (Alonso, 1978: 109).

თეატინელი ჯუსტო პრატო, რომელიც ავიტაბილეს ახლდა 1632 წელს გოადან გორში დაბრუნებისას, წერს, რომ როსტომ-ხანი 1633 წელს ამ ქალაქში დარჩა სამი თვე და თვალყურს ადევნებდა გორისციხის მშენებლობას. ის მოგვითხრობს, აგრეთვე, იმ თანადგომაზე, რომელსაც მისიონერები იღებდნენ როსტომ-ხანის დროს. მის კათოლიკე სახლთუხუცესს (maJordomo) კარგი ურთიერთობა ჰქონდა ავგუსტინელებთან, რომლებსაც ის ისევე, როგორც თავის ბატონ როსტომს, იცნობდა ისფაჰანიდან (Alonso, 1978: 110). როსტომ მეფის სახლთუხუცესზე ლაპარაკობდა პიეტრო ავიტაბილეც: „მას სასახლის მინისტრად ჰყავს ქრისტიანი-კათოლიკე, პიროვნება, რომელიც ძალიან ახლოა ავგუსტინელ წმინდა მამებთან, რომელსაც იგი გაეცნო ისფაჰანში. მისი შემწეობით ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ მეფის ამდენ კეთილგანწყობაზე და დავუახლოვდეთ მას. ამ არეულობითა და ომებით გამოწვეული საშიშროების დროს, იგი იყო ჩვენი ანგელოზ მფარველი“ (ტაბაღუა, 1987: 251-252).

იმავე წლის დასასრულს გორის ახალდაარსებულ ავგუსტინელთა მისიის სტატუსი ფორმალურად ამაღლდა და შეიქმნა კონვენტი, რომლის პრიორად გოას ავგუსტინელთა კონგრეგაციის საერთო სხდომის მიერ დაინიშნა ამბროსიო დუშ ანჟუსი. მაგრამ წერილმა გორამდე დაიგვიანა, რადგან ვისაც ის წერილი მოჰქონდათ, სახსრების უქონლობის გამო

იძულებულნი გახდნენ დარჩენილიყვნენ ისფაჰანში. როცა ამ სასიხარულო ცნობამ გორამდე მიაღწია, თეატინელები მიესალმნენ კონგრეგაციის ასეთ გადაწყვეტილებას, გორში ავგუსტინელთა კონვერტის გაძლიერებისათვის (Francesko Andreu, 1951: 112; Flannery, 2013: 234).

სულ მალე ყველაფერი მწუხარებით შეიცვალა. 1634 წლის გაზაფხულზე გორში, ისევე, როგორც აღმოსავლეთის სხვა ქალაქებში, იფეთქა შავმა ჭირმა. ავიტაბილე იყო პირველი მისიონერი, რომელიც აგვისტოში დაავადდა, მაგრამ გადარჩა. ტრაგედია დატრიალდა ავგუსტინელების მონასტერში. გადარჩა მხოლოდ ამბროსიო დუშ ანჟუსი. დაიღუპა მეორე მღვდელი, მორჩილი, ერისკაცი და ხუთი მსახური. სანიმუშო იყო თეატინელების ავგუსტინელებისადმი თანადგომა, მათზე ზრუნვა იმ დროს, როდესაც სენმა მათი ორი თეატინელი იმსხვერპლა.

1633 წლის დასასრულს პედრო სანტოსმა მიაღწია გოას, დაარწმუნა ავგუსტინელების ვიკარი, გაეგზავნა ახალი მღვდლები გორის მისონისათვის. მაგრამ მღვდლების დანიშნულების ადგილამდე ჩასაყვანად საჭირო ფული არ არსებობდა. აუცილებელი თანხის მოსაპოვებლად პედრო სანტოს ნება დართეს, წასულიყო მოზამბიკში მოწყალების შესაგროვებლად. როცა მან ისფაჰანში შეიტყო გორში შავი ჭირით გამოწვეული უბედურების შესახებ და ისიც, რომ ამბროსიო დუშ ანჟუსი გორში არ იმყოფებოდა, გადაწყვიტა სიტუაციის გაუჯობესებამდე სპარსეთის სატახტო ქალაქში დარჩენილიყო (Francesko Andreu, 1951: 112; Flannery, 2013: 234).

მარტო დარჩენილი ამბროსიო დუშ ანჟუსი 1634 წლის ნოემბერში გორის მისიონიდან წავიდა, მონასტრის ძვიფასეულობა და მონასტერი თეატინელებს ჩააბარა. ამბროსიო ავგუსტინელი სომეხი არქიეპისკოპოსის, ბაჟენცის, თხოვნით ნახჭევანს გაემგზავრა, რათა დახმარებოდა სომხეთში მოკლული ევროპისკენ მიმავალი მდიდარი პორტუგალიელების ფულისა და საქონლის დაბრუნებაში (Flannery, 2013: 238). ამ ღონისძიებას წარმატება არ მოჰყვა, მაგრამ ამბროსიომ ისარგებლა შემთხვევით და სომხეთის არქიეპისკოპოსი დაითანხმა მისი მისიონის ორი წევრის გორში წაყვანაზე. დომინიკანელთა ორდენი იზრუნებდა გორის ავგუსტინელთა მონასტერზე. ამბროსიომ განაგრძო გზა ისფაჰანისკენ, რათა ეშოვა გორის მისიონისათვის ახალი თანამშრომლები.

იმ დროს როდესაც გორის ავგუსტინელთა მისიონს შავმა ჭირმა მუსრი გაავლო, მისი პრიორი ამბროსიო დუშ ანჟუსი ნახჭევანის ეპისკოპოსთან იმყოფებოდა. მან თავისი მონასტრის მეთვალყურედ ორი დომინიკანელი სომეხი ბერი გამოგზავნა, ერთი მღვდელი იყო, ხოლო მეორე ნოვიციატი (მორჩილი ძმა) (ავიტაბილე, 1977: 31).

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამბროსიო დუშ ანჟუსი ნახჭევანიდან ისევ გორში დაბრუნდა, მაგრამ მცირე ხნით. ის რომ 1637 წლის მარტში ჯერ ისევ ნახჭევანში იმყოფებოდა, ამის შესახებ გადმოგვცემს ცნობილი გერმანელი მოგზაური, ჰოლშტეინის ჰერცოგის მიერ სპარსეთსა და რუსეთში გაგზავნილი ელჩობის მდივანი ადამ ოლიარიუსი. მან შემთხვევით გაიცნო პორტუგალიელი მისიონერი. ადამ ოლიარიუსი ამბროსიო დუშ ანჟუსის შესახებ მოგვითხრობს: 7 მარტს ელჩებს ეწვია ერთი კათოლიკე ბერი, ამბროსიო დუშ ანჟუსი (Ambrosius dos Annios), წარმოშობით პორტუგალიიდან, ლისაბონიდან. მან ელჩებს აცნობა, რომ ჩამოვიდა თბილისიდან, რომელიც მდებარეობს საქართველოში, შემახიდან 10 დღის სავალზე, არის ავგუსტინელთა ორდენის ერთ-ერთი მონასტრიდან; როგორც ამბროსიოს უთქვამს, ელჩობასთან

მივიდა მას შემდეგ, როცა გაიგო, რომ ამ მხარეში იმყოფებოდა ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდან ჩამოსული ღირსეული ელჩობა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ ელჩობას სერიოზული კავშირი ჰქონდა კათოლიკური ქრისტიანობის გავრცელებასთან. ამიტომ ის იმედოვნებდა, ელჩები კმაყოფილნი დარჩებოდნენ, როცა გაიგებდნენ, რომ ის მათთან მივიდა არა მხოლოდ ბედნიერად ჩამოსვლის მისალოცად, არამედ სურს შესთავაზოს დახმარება ყველაფერში, რაც მათ დაჭირდებათ: ცნობები ამა თუ იმ ქვეყნის ან იმ ხალხის შესახებ, რომელთა შორის ის ცხოვრობდა უკვე 27 წელი. ოლეარიუსს ბუნებრივად მიაჩნდა, სტუმარს თავიდან მთლად რომ ენდნენ, მაგრამ 10 დღის განმავლობაში შეხვედრების, გულახდილი საუბრებისა და სანდო ინფორმაციის მიღების შემდეგ, იმდენად გაიცნეს და დაუხლოვდნენ მას, რომ საკმაო საფუძველი ქონდათ ეფიქრათ, რომ ამბროსიო მათთან მივიდა პატიოსანი და კეთილი განწყობილებით, რისთვისაც მისი მადლობელი იყვნენ. პორტუგალიელის მიერ მიცემული რჩევა-დარიგებების სისწორეში გერმანელები დარწმუნდნენ პრაქტიკაში შემოწმების შემდეგ. ამბროსიომ გერმანელები გააოცა ენების ცოდნით. როგორც ოლიარიუსი წერდა, ამბროსიომ თავისი მშობლიური პორტუგალიურისა და ლათინური ენების გარდა, იცოდა ქართული, თურქული და სპარსული, რომელთა შესასწავლად, როგორც მისიონერმა მას გაანდო, შემუშავებული ჰქონდა თავისი გონივრული და გაადვილებული მეთოდი (Олеарий, 1869: 549).

მამა ამბროსიო დაჯილდოებული იყო ორატორული ნიჭით. როგორც დონ კრისტოფორო კასტელი გადმოგვცემს, ამ მხრივ მამა ამბროსიომ სახალხოდ თავი გამოიჩინა 1633 წლის 16 დეკემბერს, დონ ჯაკომო დი სტეფანოს დაკრძალვაზე, მიცვალებულისადმი მიძღვნილი სიტყვით. მან თურქულად ილაპარაკა ისე ამაღელვებლად, რომ მსმენელებს გული აუჩუყა და ააცრემლა (კასტელი, 1976: 272). ჯაკომო დი სტეფანოს საკმაოდ ვრცელი დახასითება და ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი შემოგვინახა პიეტრო ავიტაბილემ თავის ერთ-ერთ საკმაოდ ვრცელ წერილში, რომელიც გააგზავნა გორიდან რომში 1634 წლის 2 თებერვალს (Piotr Chmiel, 2013: 227-228).

22 მარტს, აცრემლებული მამა ამბროსიო დაემშვიდობა გერმანელებს და შემახადან თბილისში გაბრუნდა თავის სულიერ ძმებთან (Олеарий, 1869: 551).

1637 წ. 15 ოქტომბერს ავგუსტინელი პატრების იღუმენი ამბროსიო დუშ ანჟუსი, რომელიც მარტო ცხოვრობდა გორში, მისივე ორდენის პატრებმა გაიწვიეს ისფაჰანში. აღარ ჰქონდა რა იმედი, რომ მისი ორდენის პატრები ოდესმე დაბრუნდებოდნენ ამ ქალაქში, მონასტრიდან წაიღო ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა (ავიტაბილე, 1977: 60), წასვლის წინ ეკლესია თეატინელებს ჩააბარა (თამარაშვილი, 1902: 132).

ასე დასრულდა ავგუსტინელების მცირერიცხოვანი მისიონის მოღვაწეობა (1628-1637) საქართველოში, გორში. მათ განუხორციელებელი დარჩათ სემინარიის ან სკოლის დაარსების სურვილი, რომლისთვისაც ისინი ფულის გაგზავნს ითხოვდნენ რომისგან. იქვე ამბროსიო აყალიბებს სემინარიის ან სკოლის მნიშვნელობას, სადაც „მიიღებდნენ ბავშვებს სასწავლებლად, ღირსეული და კარგი მანერებით მათი აღზრდისათვის“. ამბროსიოს ჰქონდა იმედი, რომ სხვა ღირსეული მღვდლები მიიღებდნენ მონაწილეობას ამგვარი სახლის დაფუძნებაში, ღმერთი ისურვებდა ასეთი სახლების დაარსებას და საქართველოს სამ სხვა ქრისტიანულ სამეფოში

(ხილი, 1991: 486). მაგრამ კეთილშობილური განზრახვა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ აღსრულდა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ავიტაბილე დონ პიეტრო. (1977). *ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე).* შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა. თბილისი

დავრიჟეცი, არაქელ. (1974). *ცნობები საქართველოს შესახებ.* თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუიციასი. თბილისი.

გაბაშვილი, ვ. (1964). ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XV-XVII სს.). *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* ნაკვ. 31, თბ.

გულბენკიანი. (1987). *ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ.* ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა. თბილისი.

ევლია ჩელები. (1971). *„მოგზაურობის წიგნი“.* თუქულიდან თარგმნა, კომენტატები დაურთო გ. უთურიძემ. ნაკვ. I. თბილისი.

თამარაშვილი, მ. (1902). *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.* თფილისი.

თამარაშვილი, მ. (1995). *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე.* რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა. თბილისი.

კასტელი დონ კრისტოფორო. (1976). *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ.* ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი.

ლამბერტი არკანჯელო. (2020). *წმ. კოლხეთი.* იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2008). *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს).* თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2009). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* I. თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2011). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* ტ. II, (XVII ს. პირველი ნახევარი - თეიმურაზ I-ის ეპოქა). თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2022). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* ტ. VI. პიეტრო დელა ვალე _ დიპლომატი და მოგზაური საქართველოს შესახებ (XVII ს. პირველი მესამედი). თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2018). *გორის ისტორია,* I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა). თბილისი.

ნარკვევები. (1972). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბილისი.

პიეტრო დელა ვალე, (1879). მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს (1879) მოხსენება საქართველოზედ, პაპი ურბანუს მერვესადმი, 1627 წ. მასალა საქართველოს ისტორიისათვის. თარგმანი ალექსანდრე ჭყონიასი. *ივერია,* #3 (27-64).

ნატროშვილი, თ. (1991). *მაშრიყით მაღრიბამდე.* თბილისი.

პაპაშვილი, მ. (1995). *საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს.* თბილისი.

სვანიძე, მ. (1971). *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI=XVII სს.* თბილისი.

ტაბაღუა, ი. (1974). ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ. *მაცნე,* #1, თბილისი.

ტაბაღუა, ი. (1986). *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში,* II. თბილისი.

ტაბაღუა (1987) ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბილისი.

ტაბაღუა, მ. (1979). პაოლო მარია და ფაენცას ცნობები საქართველოზე. *საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, #1.*

გორგიჯანიძე, ფარსადან. (2022). *საქართველოს ცხოვრება.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბილისი.

*ქართლის ცხოვრება.(*1959). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II. თბილისი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), მ. თამარაშვილის პირადი არქივი, #1075

ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა. (1991). დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.). მადრიდი.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. (1964). *წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე.* იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი.

Alonso C. O. S. A. (1978). Missioneros Agustinos en Georgia (siglio XVII), Valiadolid.

Ambrosio. (1624). Relaçâo verdadeira do glorioso martirio da Serenissima Rainha Guativande de Dopali em Xiras Metropoli do reino da Persia, por mandado de Xa Abbas no anno de 1624 a 22 de Setembro escrita pello Padre Frei Ambrosio dos Anjos religioso da Order de nosso padre Sancto Augustinho então e hora estante no Convento da ditta o da Cidade de Xiras.

Archivio della Sacra Congregazione de Propaganda Fide, Persia, Georgia, Mingrelia..., vol. 209, ff. 476-479.

Bartolomeo Ferro. (1704). Istoria della missioni de Chierici Regolari, Teatini. Con la descrizzione de'Regni, Provincie, Citta, Luoghi, Fede, Ritti, e Costumi delle Genti ove andarono, e passarono li Missionerij, Con li Viaggi pericolosi, fattevi, e frutto raccoltovi per la Cattolica Religione. Del P. D. Bartrolomeo Ferro Chierico regolare, Ferrarese. Divisa in tre parti, t. I, de Quattro Regni della Giorgia: Iberia, Odisci, Guriel, Imereti. Roma.

Francesko Andreu C.R. (1951). Carteggio inedito di Pietro Della Valle col P. Avitabile e I Missionari Theatini della Georgia. Regnum Dei. Collectanea Theatina. A Cleriois Regularibus quarter in anno VII, Roma, (118-136).

Flannery John M. (2013). The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beiond (1602-1747), Leiden-Boston.

https://books.google.ge/books?id=¬Nz5TO9BNFH8C&printsec=¬frontcover¬&source-gbs_ViewAPI&¬redir_¬esc=y#v=¬onepage&q&f=false.

Giovanni Tadeo. (1604). de Sant Eliseo Relazione della missione de Carmelitani Scalzi in Persia del Padre.

Gulbenkian, R. (1972). L'ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Peres Portugais de l'Ordre de Saint-Agustin. Belchior dos Anjos et Guillerme de Santo Agostinio. 1604-1605, Lisbonne.

Gulbenkian, R. (1982). Relation verirable du glorieux martyre de la reine Ketevan de Geiorgie // Bedi Kartlisa revue de kartvelologie, vol. XL, Paris,

Lang David. (1956). Marshal Lives and Legends of the Georgian Saints. 2nd Edition, London.

Metzler, J. (1972). Fondation of the Congregation de Propaganda Fide by Gregorio XV, `sakrae Congre-gationis de Propaganda Fide, Memoria rerum 1622-1972~, vol. 1/1, Rom, Freiburg, Wien.

Paolo Maria. (1621). Cittadini Sincera Relatione de'Regni della Georgia del R. P. Paolo Maria Cittadini da Faenza del 'Ordine de Predicatori, Vicario Generale in tuttui li Regni della Persia, et l'una et l'altra Armenia, in Napoli,

Piotr Chmiel. (2013). Several unpublished Theatines' letters concerning the activity of the order in Georgia in the 17th Century // Pro Georgia. Journal of kartvelological Studies, 23 _ 2013, Warsaw, 2013 https://journals.indexcopernicus.com/api/file/viewByFileId/157667.pdf

Ambrosio. (1624). Relaçâo verdadeira do glorioso martirio da Serenissima Rainha Guativande de Dopali em Xiras Metropoli do reino da Persia, por mandado de Xa Abbas no anno de 1624 a 22 de Setembro escrita pello Padre Frei Ambrosio dos Anjos religioso da Order de nosso padre Sancto Augustinho então e hora estante no Convento da ditta o da Cidade de Xiras.

Salia Nino. (1973). Documents portugais sur su le martyre de la Reine de Dedorgie. Bedi Kartlisa, revue de Kartvelologie. Vol. XXXI, Paris.

Tamarati Mikheil (1912). L' Eglize Georgienn des origins jusqu'es nos jours. Rome.

Pietro della Valle. (1843). Viaggi di Pietro della Valle, il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore. _ Brighton: G. Gancia, Vol. I.

Pietro della Valle. (1843). Viaggi di Pietro della Valle, il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore. _ Brighton: G. Gancia, Vol. II.

Pietro della Valle, (1693). Informatione della Georgia . Data alla santita di Vostro Signiore Papa Urbano VIII. Da Pietro della Valle il tamaratmaPelegrino L'anno 1627 // Relations alo divers Voyages Curieux. Qui ont n'ont Point este Publices, qui ont on teste traduityes d'Hacluyt, Premiere Partie, (1-14).

История Востока (1999). Т. III (Восток на рубеже средневековья и нового времени. XVI—XVIII вв.), Москва.

Олеарий. (1869). Подробнее описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию составленое секретарем посольства Адамом Олеарием. Чтения в Обществе Истории и Древностей Российских при Московском Университете, №1, Москва.

Финкель, К. (2010). История Османской империи. Видение Османа, Москва.

REFERENCES

avit'abiole don p'iet'ro. (1977). tsnobebi sakartveloze (XVII sauk'une). shesavali, targmani da k'oment'arebi bezhan giorgadzisa. tbilisi

davrizhetsi, arakel. (1974). tsnobebi sakartvelos shesakheb. targmani, shesavali da k'oment'arebi k'arlo k'uitsiasi. tbilisi.

gabashvili, v. (1964). kartuli dip'lomat'iis ist'oriidan (sakartvelo da ant'iosmaluri k'oalitsiebi XV-XVII ss.). masalebi sakartvelosa da k'avk'asiis ist'oriisatghvis, nak'v. 31, tb.

gulbenk'iani. (1987). namdvili tsnobebi sakartvelos dedoplis ketevanis mots'amebrivi sik'vdilis shesakheb. prangulidan targmnes i. t'abaghuam da ts. bibileishvilma. tbilisi.

evlia chelebi. (1971). „mogzaurobis ts'igni". tukulidan targmna, k'oment'at'ebi daurto g. uturidzem. nak'v. I. tbilisi.

tamarashvili, m. (1902). ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris. tpilisi.

tamarashvili, m. (1995). kartuli ek'lesia dasabamidan dghemde. redaktsia gauk'etes, ts'inasit'qvaoba daurtes da gamosatsemad moamzades zaza aleksidzem da jumber odishelma. tbilisi.

k'ast'eli don k'rist'oporo. (1976). tsnobebi da albomi sakartvelos shesakheb. t'ekst'i gashipra, targmna, gamok'vleva da k'oment'arebi daurto bezhan giorgadzem. tbilisi.

lambert'i ark'anjelo. (2020). ts'm. k'olkheti. it'aliuridan targmna giorgi tskit'ishvilma. t'ekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva, ganmart'ebebi da sadzieblebi daurto davit merk'viladzem, tbilisi.

mamistvalishvili, e. (2008). sakartvelo-ierusalimis urtiertobis ist'oriidan (XVI-XVII ss). tbilisi.

mamistvalishvili, e. (2009). sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lo¬mat'ia, I. tbilisi.

mamistvalishvili, e. (2011). sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lo¬mat'ia, t'. II, (XVII s. p'irveli nakhevari - teimuraz I-is ep'oka). tbilisi.

mamistvalishvili, e. (2022). sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia, t'. VI. p'iet'ro dela vale _ dip'lomat'i da mogzauri sakartvelos shesakheb (XVII s. p'irveli mesamedi). tbilisi.

mamistvalishvili, e. (2018). goris ist'oria, I (meore gadamushavebuli da shevsebuli gamotsema). tbilisi.

nark'vevebi. (1972). sakartvelos ist'oriis nark'vevebi, t'. IV. tbilisi.

p'iet'ro dela vale, (1879). mogzauris p'iet'ro dela vales (1879) mokhseneba sakartvelozed, p'ap'i urbanus mervesadmi, 1627 ts'. masala sakartvelos ist'oriisatvis. targmani aleksandre ch'qoniasi. iveria, #3 (27-64).

nat'roshvili, t. (1991). mashriqit maghribamde. tbilisi.

p'ap'ashvili, m. (1995). sakartvelo-romis urtiertoba VI-XX ss. tbilisi.

svanidze, m. (1971). sakartvelo-osmaletis urtiertobis ist'oriidan XVI=XVII ss. tbilisi.

t'abaghua, i. (1974). akhali tsnobebi ketevan dedoplis ts'amebis shesakheb. matsne, #1, tbilisi.

t'abaghua, i. (1986). sakartvelo evrop'is arkivebsa da ts'ignsatsavebshi, II. tbilisi.

t'abaghua (1987) t'abaghua i. sakartvelo evrop'is arkivebsa da ts'ignsatsavebshi, III, tbilisi.

t'abaghua, m. (1979). p'aolo maria da paentsas tsnobebi sakartveloze. sazogado-ebatmtsodneoba, geograpia sk'olashi, #1.

gorgijanidze, parsadan. (2022). sakartvelos tskhovreba. t'ekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva, shenishvnebi da sadzieblebi daurto giuli alasaniam, tbilisi.

kartlis tskhovreba.(1959). t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier, II. tbilisi.

khelnats'erta erovnuli tsent'ri (khets), m. tamarashvilis p'iradi arkivi, #1075

luis khili pernandesi, ilia t'abaghua. (1991). dok'ument'ebi sakartvelos ist'oriisatvis esp'anetis arkivebsa da bibliotek'ebshi (XV-XVII ss.). madridi.

don juzep'e judiche milaneli. (1964). ts'erilebi sakartveloze. XVII sauk'une. it'aliuri t'ekst'i targmna, ts'inasit'qvaoba da shenishvnebi daurto bezhan giorgadzem. tbilisi.

Alonso C. O. S. A. (1978). Missioneros Agustinos en Georgia (siglio XVII), Valiadolid.

Ambrosio. (1624). Relaçâo verdadeira do glorioso martirio da Serenissima Rainha Guativande de Dopali em Xiras Metropoli do reino da Persia, por mandado de Xa Abbas no anno de 1624 a 22 de Setembro escrita pello Padre Frei Ambrosio dos Anjos religioso da Order de nosso padre Sancto Augustinho então e hora estante no Convento da ditta o da Cidade de Xiras.

Archivio della Sacra Congregazione de Propaganda Fide, Persia, Georgia, Mingrelia..., vol. 209, ff. 476-479.

Bartolomeo Ferro. (1704). Istoria della missioni de Chierici Regolari, Teatini. Con la descrizzione de'Regni, Provincie, Citta, Luoghi, Fede, Ritti, e Costumi delle Genti ove andarono, e passarono li Missionerij, Con li Viaggi pericolosi, fattevi, e frutto raccoltovi per la Cattolica Religione. Del P. D. Bartrolomeo Ferro Chierico regolare, Ferrarese. Divisa in tre parti, t. I, de Quattro Regni della Giorgia: Iberia, Odisci, Guriel, Imereti. Roma.

Francesko Andreu C.R. (1951). Carteggio inedito di Pietro Della Valle col P. Avitabile e I Missionari Theatini della Georgia. Regnum Dei. Collectanea Theatina. A Cleriois Regularibus quarter in anno VII, Roma, (118-136).

Flannery John M. (2013). The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beiond (1602-1747), Leiden-Boston.
https://books.google.ge/books?id=¬Nz5TO9BNFH8C&printsec=¬frontcover¬&source-gbs_ViewAPI&¬redir_¬esc=y#v=¬onepage&q&f=false.

Giovanni Tadeo. (1604). de Sant Eliseo Relazione della missione de Carmelitani Scalzi in Persia del Padre.

Gulbenkian, R. (1972). L'ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Peres Portugais de l'Ordre de Saint-Agustin. Belchior dos Anjos et Guillerme de Santo Agostinio. 1604-1605, Lisbonne.

Gulbenkian, R. (1982). Relation verirable du glorieux martyre de la reine Ketevan de Geiorgie // Bedi Kartlisa revue de kartvelologie, vol. XL, Paris,

Lang David. (1956). Marshal Lives and Legends of the Georgian Saints. 2nd Edition, London.

Metzler, J. (1972). Fondation of the Congregation de Propaganda Fide by Gregorio XV, `sakrae Congre-gationis de Propaganda Fide, Memoria rerum 1622-1972~, vol. 1/1, Rom, Freiburg, Wien.

Paolo Maria. (1621). Cittadini Sincera Relatione de'Regni della Georgia del R. P. Paolo Maria Cittadini da Faenza del 'Ordine de Predicatori, Vicario Generale in tuttui li Regni della Persia, et l'una et l'altra Armenia, in Napoli,

Piotr Chmiel. (2013). Several unpublished Theatines' letters concerning the activity of the order in Georgia in the 17th Century // Pro Georgia. Journal of kartvelological Studies, 23 _ 2013, Warsaw, 2013 https://journals.indexcopernicus.com/api/file/viewByFileId/157667.pdf

Ambrosio. (1624). Relaçâo verdadeira do glorioso martirio da Serenissima Rainha Guativande de Dopali em Xiras Metropoli do reino da Persia, por mandado de Xa Abbas no anno de 1624 a 22 de Setembro escrita pello Padre Frei Ambrosio dos Anjos religioso da Order de nosso padre Sancto Augustinho então e hora estante no Convento da ditta o da Cidade de Xiras.

Salia Nino. (1973). Documents portugais sur su le martyre de la Reine de Dedorgie. Bedi Kartlisa, revue de Kartvelologie. Vol. XXXI, Paris.

Tamarati Mikheil (1912). L' Eglize Georgienn des origins jusqu'es nos jours. Rome.

Pietro della Valle. (1843). Viaggi di Pietro della Valle, il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore. _ Brighton: G. Gancia, Vol. I.

Pietro della Valle. (1843). Viaggi di Pietro della Valle, il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore. _ Brighton: G. Gancia, Vol. II.

Pietro della Valle, (1693). Informatione della Georgia . Data alla santita di Vostro Signiore Papa Urbano VIII. Da Pietro della Valle il tamaratmaPelegrino L'anno 1627 // Relations alo divers Voyages Curieux. Qui ont n'ont Point este Publices, qui ont on teste traduityes d'Hacluyt, Premiere Partie, (1-14).

Istorija Vostoka (1999). T. III (Vostok na rubezhe srednevekov'ja i novogo vremeni. XVI—XVIII vv.), Moskva.

Olearij. (1869). Podrobnee opisanie puteshestvija golshtinskogo posol'stva v Moskoviju i Persiju sostavlenoe sekretarem posol'stva Adamom Oleariem. Chtenija v Obshhestve Istorii i Drevnostej Rossijskih pri Mosko¬vskom Universitete, №1, Moskva.

Finkel', K. (2010). Istorija Osmanskoj imperii. Videnie Osmana, Moskva.